




მარი პერტნელო აზნაური
უილიამ ჰექსერი



უილიამ შექსპირი - ორი ვერონელი აზნაური
William Shakespeare - The Two Gentlemen of Verona

ქვეყნდება შპს iBooks-ის მიერ
ვაჟა-ფშაველას მე-3 კვ., მე-7 კ.
0186 თბილისი, საქართველო
[www. iBooks.ge](http://www.iBooks.ge)

ქართული თარგმანი ეკუთვნის დიმიტრი ყიფიანს

iBooks® 2020 ყველა უფლება დაცულია.

მოცემული პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება იქნას რეპროდუცირებული, გავრცელებული ან გადაცემული ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის ელექტრონული, მექანიკური, კოპირების, სკანირების, ჩაწერის ან რაიმე სხვა გზით გამომცემლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. გამოქვეყნების უფლების შესახებ გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: info@iBooks.ge

სარჩევი

მოქმედი პირები
მოქმედება პირველი
მოქმედება მეორე
მოქმედება მესამე
მოქმედება მეოთხე
მოქმედება მეხუთე

მოქმედი პირები:

მილანის დუკი, მამა სილვიასი
 ვალენტინ, პროტეოს - ვერონელი აზნაურიშვილები
 ანტონიო, მამა პროტეოსისა
 თურიო, მოსულელო რაყიფი ვალენტინისა
 ეგლამურ, სანდო კაცი სილვიასი
 მარდი, მოხუმარო მსახური ვალენტინისა
 ლაუნსი, მსახური პროტეოსისა
 პანტინო, მსახური ანტონიოსი
 მასპინძელი, პატრონი სახლისა, სადაც ჯულია არის ჩამომხდარი მილანს
 ჯულია, ვერონელი ქალი, სატრფო პროტეოსისა
 სილვია, სატრფო ვალენტინისა
 ლუჩეტა, მიახლე ჯულიასი.
 მუახლეები 4, მუსიკანტები 4, თული კაცები 6.

სცენა არის ხან ვერონას, ხან მილანს, და მანტუას საზღვარზედ.

მოქმედება პირველი

სცენა 1. სალაყო ქალაქს ვერონას
 შემოვლენ ვალენტინ და პროტეოს

ვალენტინ
 კარგია ახლა, ჩემო პროტეოს; -
 როგორ იქნება, რომ სულ შინ ჯდომა კაცს არ დააჩნდეს!
 რომ არ ვიცოდე, რომ შენი სიყრმე საყვარლის ქალის
 თვალების ეშხით არის დაბმული, -
 დიდათა გთხოვდი წამოსულიყავ, ერთათ გვემგზავრნა,
 უცხო ქვეყნების საკვირველება ერთათ გვეშინჯა,
 ოღონდ-კი შენი ყმაწვილ-კაცობა
 აქ უსარგებლოდ და მცონარებით არ გავლილიყო.
 მაგრამ - ქალს ეტრფი, და რაღა ითქმის! - ბედნიერ იყავ! -
 ისე მსურს შენთვის ბედნიერება, როგორც რომ ჩემთვის.
 მეც თუ როდისმე გამიჩნდა გრძნობა სიყვარულისა! -

პროტეოს
 მაშ, აღარ იშლი? - მიხვალ ეგ არის, ჩემო ვალენტინ?
 მშვიდობით, ძმაო! და თუ შემთხვევით ჰნახავდე სადმე
 შენს მგზავრობაში იშვიათს რასმე, ან საკვირველსა,
 მომიგონებდე და ფიქრით მაინც მიზიარებდე
 შენს სიხარულსა; - გასაჭირში კი, - თუ გაჭირვება
 მოგადგა რამე, ჩემს წმინდა ლოცვას მოენდობოდე;
 გულით მლოცველი ვიქნები შენთვის, ჩემო ვალენტინ!

ვალენტინ
 შენი ლოცვანი? - წიგნი იქნება ტრფობისა, განა?

პროტეოს
ისეთის წიგნით ვილოცავ შენთვის, რომ სხვას მერჩივნოს.

ვალენტინ
რალა თქმა უნდა, წიგნი იქნება -
ღრმა რამ მოთხრობა ტრფიალებაზედ,
როგორც ლეანდრმა - ზღვა გასცურაო,
რომ საყვარელთან მისულიყო!

პროტეოს
ეგ მოთხრობაა მართლად რომ დიდის სიყვარულისა,
რადგან ლეანდრი წელამდინ ფლულა ტრფიალებაში.

ვალენტინ
სწორეთ! და შენ ხომ წელს ზევეითაც ხარ, -
თუმცაკი ზღვაში არსად გიცურავს!

პროტეოს
წელს ზევეითა ვარ? მაშ სულ მაშიშვლებ, ეგ არის, რალა?

ვალენტინ
მაგას არ ვამბობ; არცა რასა გხდი, არცა რას გაცმევ!

პროტეოს
მაშ რალას ამბობ?

ვალენტინ
მე ამას ვამბობ, რომ არშიყობა სასაცილოა.
ოხვრის სანაცვლოდ დაგცინვენ, გკიცხვენ;
სადაც შენ სწუხხარ, იქ ამაყობენ; - წამის სიხარულს
ოცს ღამის ტეხის ფასად დაგისმენ. ისე დაგტანჯვენ. -
თუ გაიმარჯვე, ეგეც ვინ იცის, რა ბედს ეწევი?
და თუ ვერა, ხომ მსხვერპლი შეიქენ მწუხარებისა!
ბოლოს რა გახდა? უგუნურებას ჭკვა ანაცვალე, -
ან თუნდ ასე ვსთქვათ, ჭკუა უმონე უგუნურებას.

პროტეოს
მაშ შენის ფიქრით სულელათა მხდი, - ეს არის რალა?

ვალენტინ
მე ჩემის ფიქრით ამას ვიშიშვი, - მართლა არ გახდე!

პროტეოს
ტრფიალებაზედ ამბობ მაგასა, ჩემზედ ხომ არა!

ვალენტინ
ტრფიალებაა შენი ბატონი, შენი მფლობელი,
და ამას გეტყვი, - უგუნურებას ვინცა ჰყმობია, -
იმაზედ, ვგონებ, აღარ ითქმოდეს, ბრძენი არისო.

პროტეოს

მწიგნობრები კი ასე იტყვიან: როგორც ყვავილში
ჭია ჰბუდობსო, უბრწყინვალესსა გონიერებას
ტრფობის სურვილიც ისე იპყრობსო.

ვალენტინ

ასეც იტყვიან: როგორც რომ ჭია კოკორს არ აცლის,
რომ გაიშალოს და აჰყვავდესო, - ისე ტრფობაცა
ახალს, ნორჩს ჭკუას ჰღრღნის და ახმობსო; გაზაფხულზედვე
წამხდარი ჰსჭკნება, ჰხმება, ჰყვითლდება და ჰკარგავს ყოველს
სიყრმის იმედსა, რომ კაცად გაჰხდეს გამოსადეგათ; -
რომ განამართლოს, რასაც მოყვასნი მისგან ელიან.
მაგრამ მეც ერთი აქ კაცმა მკითხოს, შენთან ბაასით
დროს რათა ვჰკარგავ, მონა რომა ხარ ტკბილის ტრფობისა?
მშვიდობით კიდეც! ნავთ-საყუდელებზედ მამა მიმელის,
რომ გემში ჩამსვას და გამისტუმროს.

პროტეოს

მეც გამოგყვები, გამოგაცილებ, ჩემო ვალენტინ!

ვალენტინ

არა, ნუ! ჩემო კარგო პროტეოს! აქ გეთხოვები!
შენის წიგნების მოლოდინება მილანს მექნება.
შენს ტრფიალებას რაც დაჰყვებოდეს, ან რაც საჩინო
რამ მოჰხდებოდეს ამ ვერონაში, მატყობინებდე, -
მანამდის შენი ვალენტინ გარეთ გეგულებოდე!
ჩემის მხრით მეც კი ჩემს ამბავს ხშირათ გაცნობებ ხოლმე.

პროტეოს

ბედნიერ იყავ ყოვლითურთ მილანს, ჩემო ვალენტინ!

ვალენტინ

აქ შენც აგრეთვე, ჩემო პროტეოს, - და გამარჯვებით!
(ვალენტინ გავა)

პროტეოს

ეს სახელს მისდევს, - მე სიყვარულსა;
ესა ჰსცილდება თავისს მეგობრებს, მე ვაჯობო, -
და მე ვჰსცილდები სხვებსაც, ჩემს თავსაც, საყვარლისათვის.
შენი ბრალია, მშვენიო ჯულიავ, რომ შეცვლილი ვარ;
სწავლას არ დავსდევ, დროს ვჰკარგავ, რჩევას არვისას ვისმენ
და ქვეყანასაც არაფრათა ვრაცხ; გონებას ვლაღავ
უსაქმობითა; სულ შენს ფიქრში ვარ და გულს ვიმტკივნებ.
(შემოდის მარდი)

მარდი

ბატონო პროტეოს! თუ მოგეხსენებათ, ჩემი ბატონი ხომ არ გინახავთ?

პროტეოს

ეს არის ახლა წავიდა აქედამ, რომ გემში ჩაჯდეს და მილანისაკენ გასწიოს!

მარდი

ვისაც უნდა დავენამლევები, თუნდ ერთზედ ოცი იყოს, რომ ის ახლა გემში ჰზის და მე კი რიყეზე დავრჩი მოსხლეთილი ცხვარივითა!

პროტეოს

მართლა რომ ცხვარი ადვილად მოსხლტება ხოლმე, რა რომ მეცხვარე მოსცილდება.

მარდი

ბარემ ასე ბძანე, ჩემი ბატონი მეცხვარე იყოს და მე ცხვარი რაღა?

პროტეოს

მაინც აგრე ვამბობ.

მარდი

მაშ მძინავს თუ მღვიძამს, ჩემი რქები იმისი რქებია?

პროტეოს

თოხლური პასუხი თუ გინდა, სწორეთ ეგ არის.

მარდი

მაგითი კიდევ ამასა ბძანებ, რომ ცხვარი ვიყო.

პროტეოს

სწორეთ. და შენი ბატონი არის შენი მეცხვარე.

მარდი

დიახ არა; მე შემძლია დაგიმტკიცოთ, რომ არა.

პროტეოს

ვერა მგონია; მეც-კი დაგიმტკიცებ, რომ შენ ეგ მე ვერ დამიმტკიცო.

მარდი

მეცხვარე ეძებს ხოლმე ცხვარსა; ცხვარი ხომ არ ეძებს მეცხვარესა; და მე, - მე ვეძებ ჩემს ბატონსა, ის ხომ მე არ ეძებს; მაშ ეტყობა ცხვარი არა ვჰყოფილვარ.

პროტეოს

სამოვრისათვინ ცხვარი მისდევს მეცხვარესა, - მეცხვარე ხომ ცხვარს არ მისდევს. შენ შენი ჯამაგირისთვინ მისდევ შენ ბატონსა, ის ხომ არ მოგდევს, ჯამაგირი გამომართვიო. მაშ გეტყობა, ცხვარი ყოფილხარ.

მარდი

ერთი მაგისთანა პასუხი კიდევა და უნდა დავიბღავლო კიდევცა, რაღა?

პროტეოს

აგრე ქენი, მაგრამ შენ ჩემი წიგნისას რატომ არას მეტყვი; მთართვი ჯულიასა თუ არა?

მარდი

დიახ, ბატონო! დაკარგულმა ცხვარმა წიგნი მივართვი დაჭერილ ბატკანსა და იმ დაჭერილმა ბატკანმა დაკარგულ ცხვარს გასამრჯელო კი არა მიბოძა რა.

პროტეოს

იმის სამოვარზედ მაგდენი ცხვარი სად დაეტევა.

მარდი

საცა ვიწროობაა, იქ ცოტა მიწევ-მოწევა უნდა.

პროტეოს

აკი გითხარი, გავარდნილი თოხლი ხარ მეთქი და სწორეთ ამანათივით შენახვა გინდა შენა.

მარდი

ღმერთს ენდე, უკეთესი იქნებოდა, რომ გებმანებინა: ა! მანათი! ვითამ შენი გასამრჯელოაო.

პროტეოს

შემცდარი ხარ, მე გეუბნები, შენახვა გინდა ამანათივითა მეთქი.

მარდი

შენახვა მაგ მანათივითა? მე მაგასა ვჩივი, რომ შენახულია თქვენი მანათები და რაც წიგნის მისატანი მერგებოდა, იმისი მესამედიც არა გამოდის რა.

პროტეოს

მაინც რაო, რა გიპასუხა? (მარდი თავს იქნევს) თავი დაგიქნია?

მარდი

დიახ!

პროტეოს

დიახ?! ნეტავი რას მიედ-მოედები?

მარდი

მე მოგახსენეთ, თავი დამიქნია მეთქი; - თავი კი დაგიქნიაო? კიდევა მკითხამთ და მოგახსენებთ, დამიქნია მეთქი.

პროტეოს

მანდ სულ არა გამოდის რა, თუ არ შენი სისულელე.

მარდი

ვსთქვათ, აქედამ ჩემი სისულელე გამოდის; - ახლა თქვენი ქისიდამაც გამოდის რამე, თუ არა?

პროტეოს

არა! ჩემი ქისიდამ არა გამოვარა, თუ არ წიგნის მისატანი.

მარდი

რა გაეწყობა! ყველა უნდა მივიღო თქვენგანა!

პროტეოს
რაო? რა უნდა მიიღო ჩემგანა?

მარდი
ეგ წიგნის სამაგიერო ბატონო, შესაფერი სამაგიერო.

პროტეოს
შენ როგორღაც ჭკუას ძალას ატან, მგონია.

მარდი
თქვენ ქისას მაინც ვერ მოვახსნევინე პირი, არა მეშველა რა.

პროტეოს
კარგია, ბევრს ნუ მიჰქარავ! ჯერ ეგ შენი პირი მოხსენ და შემატყობინე, რა გითხრა?

მარდი
ბარემ თქვენი ქისაც მოხსენით, რომ აქედამ პასუხი და მანდედამ პასუხის სამაგიერო ერთათ გადვიდ-
გადმოვიდნენ.

პროტეოს
აჰა, ესეც შენი სამაგიერო! ახლა, რა გითხრა?

მარდი
სწორე მოვახსენოთ, ბატონო, მგონია ადვილათ იშოვნოთ ისა.

პროტეოს
ნეტა რა ვქნა! რატომ აგრე გიცვნია, მერე?

მარდი
არა ბატონო! მე ის სულაც არ მიცვნია; ისე არ მიცვნია, როგორც ერთი ოქროც არ მიცვნია იმისი, თქვენი
წიგნის მისატანი. და თქვენი ამბის მიმტანთან თუ აგრე ხელ-მოჭირებულა, თითონ თქვენთანაც რომ
აგრე იყოს, მერე? - თქვენ იმასთან ქვის მეტი არა დაგჭირდებათ რა, თითონ რომ ფოლადივით მაგრა
არი!

პროტეოს
მაინც რაო! სულ არა გითხრა რა?

მარდი
ესეც არ მითხრა, - აჰა, შენი გასამრჯელოო. თქვენ რომ მიბოძეთ ახლა, მე იმის მადლობის
მოსახსენებლად ამას გირჩევთ, რომ დღეის იქით თქვენი წიგნი თქვენვე მიუტანოთ ხოლმე. ახლა კი
მშვიდობით, ბატონო, და თუ მიბძანებთ, ჩემს ბატონს თქვენ მაგიერად მოკითხვას მოვახსენებ.

პროტეოს
გასწი, გასწიე, მარდათ ირბინე; ეგება გვემას გადაარჩინო თქვენი ხომალდი! შენ თუ ზედა ხარ, ფიქრი
არ არის; თოკით დასარჩობს ზღვა ვერ დაარჩობს. შენ მაგიერი სხვა უფრო სანდო თუ არ ვიშოვე,
ჯულია პასუხს მე არც ერთ სტრიქონს აღარ მაღირსებს, რაც უნდა ვსწერო.
(გავლენ)

სცენა 2. ვერონაშივე. ჯულიას სახლის ბაღი
შემოვლენ ჯულია და ლუჩეტა.

ჯულია
მითხარ, ლუჩეტა! მარტო ვართ ახლა!
მაშ, სწორეთ მირჩევ, რომ ტრფიალებას გული მივანდო?

ლუჩეტა
ოღონდაც, მადამ! მაგრამ რიგით კი, მგრძნობელობითა.

ჯულია
ყმაწვილ-კაცების ბრწყინვალე დასში, მე რომ მეტრფიან,
მუდმად ყოველ-დღე პატივისცემას რომ მიცხადებენ,
ვინა გგონია, უფრო ღირს იყოს, რომ მე შევიტრო?

ლუჩეტა
დამისახელეთ ერთი კიდევაც, რომ მოვიგონო,
და სწორეს გეტყვით, ვისას რას ვჰფიქრობ.

ჯულია
მშვენიერს ყმაწვილს ეგლამურზედა, - აბა, რას იტყვი?

ლუჩეტა
ტანადი, სუფთა, ტკბილ-მოუბარი; მაგრამ მე თქვენი
რომ ვიყო, იმას საყვარლად სულაც არ ავირჩევდი.

ჯულია
მაშ იმ შეძლებულს მერკუციოზედ რადასა ჰფიქრობ?

ლუჩეტა
იმას შეძლება - დიად კეთილი; მაგრამ თითონ კი...

ჯულია
იმ კეთილშობილს პროტეოსზედა ვნახოთ, რას იტყვი?

ლუჩეტა
ოჰ, ღმერთო, ღმერთო! რა სულელი ვარ, ვინ გამიკითხავს?!

ჯულია
რა იყო, მერე? იმის ხსენება გულში რათ მოგხვდა?

ლუჩეტა
გთხოვთ მომიტევოთ, თქვენი ჭირიმე; დამნაშავე ვარ,
მე უგუნური, ასე ვახსენებ ამისთანა ღირსს
ყმაწვილ კაცებსა; ჩემგან განკითხვა არ ეკადრებათ.

ჯულია
თუ სხვებზედა ჰსთქვი, პროტეოსზედ კი რატომ აღარა?

ლოჩეტა

მამ, მოგახსენებთ: უკეთესებში ის უფრო მომწონს.

ჯულია

მაგის მიზეზი? რა მიზეზი გაქვს?

ლოჩეტა

სხვა რა მიზეზი, თუ არ ქალური:

იმიტომ მომწონს, რომ... მომწონს, რა ვჰქნა?

ჯულია

გეტყობა მირჩევ, რომ ის შევიტრო!

ლოჩეტა

დიად, თუ რომ სხვა არავინ არის უფრო სატროფი!

ჯულია

ეგ კარგი, მაგრამ, თუ მომწონს ვინმე, ის უფრო ნაკლებ.

ლოჩეტა

იმას კი სხვებზედ უფრო უყვარხართ.

ჯულია

სულ ჩუმად არის, და ამითი ჰსჩანს, რომ გულგრილია!

ლოჩეტა

დაფლული ცეცხლი უფრო დიდხანს სძლებს ანთებულზედა.

ჯულია

ვინც ვერ წარმოსთქვამს, იმის გრძნობისა არა ვიცი რა.

ლოჩეტა

ვინც რომ ბევრს ამბობს, იმისი გრძნობა მე სულ არა მწამს.

ჯულია

ნეტავი ერთი იმისი გრძნობა შემატყობინა.

ლოჩეტა

ამ წერილიდამ ამოიკითხეთ.

ჯულია

ეგ ვისი არის?

ლოჩეტა

თითონ ეს წიგნი შეგატყობინებთ.

ჯულია

მითხარი მეთქი, ვინ მოგცა ეგა?

ლუჩეტა

ვალენტინისმა... მსახურმა... მგონი... პროტეოსისა...
თქვენთან მოჰქონდა, მაგრამ მე შეეპყვდი და გამოვართვი.
თუ დავაშავე, გთხოვთ მომიტევოთ.

ჯულია

ეგ შენ ძალიან კარგი ხელობა დაგიჭერია!
მაგ საარშიყო წიგნების ზიდვას როგორ მიბედავ?
შენ მოღალატედ შემოსდგომიხარ ჩემს სიმშვიდესა?
ახლავ წაილე და დაუბრუნე, ვინც გამოგზავნა, -
თუ არა თვალთ არ დამენახო!

ლუჩეტა

ტრფიალის ქომავს უფრო კეთილი პასუხი ჰშვენის.

ჯულია

გახვალ თუ არა?

ლუჩეტა

გიახლებით, რომ, იქნება უფრო კარგა იფიქროთ.
(გავა)

ჯულია

კარგს კი ვიქმოდი, თვალი ჩამეველო იმ წიგნისათვის.
ისევ მოვიხმო? სირცხვილს რა ვუყო, მევე რომ ვჰკითხო,
რისთვისაც აგრე მძიმეთ დავტუქსე საბრალო გოგო?
რა სულელია! ხომ იცის, რომ ვარ ყმაწვილი ქალი?
ვერ მოახერხა, რომ წიგნი ჩემთვის ძალად მოეცა?
ყმაწვილი ქალი მორცხვობით იტყვის, „არა, არაო“,
სადაც რომ გული ეჩურჩულება, ჰსთქვი „დილაო“.
ეჰ! სიყვარულო! რა კაპასი ხარ და უგუნური! -
ჩჩვილი ძუძუსა რომ კიდევა ჰსწოვს და კიდევ ჰკაწრავს,
ტრფიალებაში ყმაწვილი ქალიც სწორეთ ისეა.
რა განრისხებით გავაგდე გარეთ ჩემი ლუჩეტა. -
როდესაც მსურდა, რომ ისევ ჩემთან აქ ყოფილიყო.
რა გულის წყრომით დავუბრიალე საწყალს თვალები,
როდესაც გული მიტრიალებდა სიხარულითა!
ჩემი სასჯელი ეს თუ იქნება, რომ დავუძახო
და ტკბილათ დავჰხვდე, რომ სხვა ბოდიში აღარ დამჭირდეს.
ქალო ლუჩეტა! ლუჩეტა!

ლუჩეტა

ბძანეთ! აგერ გახლავარ!

ჯულია

სადილის დროა, თუ არა ჯერა?

ლუჩეტა

ნეტავი იყოს თქვენის სიცოცხლით:

ჯავრს საჭმელებზედ ამოიყრიდით
და მე ამითი გადაგრჩებოდით.

ჯულია
რა იყო ეგა, რას დასწვდი მანდა?

ლუჩეტა
ოჰ! არაფერსა.

ჯულია
რა იყო მეთქი, რომ დასწვდი მანდა?

ლუჩეტა
ქალაღდი გახლდათ და ის ავიღე.

ჯულია
მერე ქალაღდი არაფერია?

ლუჩეტა
ჩემთვის ოღონდაც, არაფერია!

ჯულია
მამ გდებულიყო, რალა გინდოდა.

ლუჩეტა
რომ გდებულიყო, ვაი თუ ცუდათ ეთარგმნა ვისმე,
და მართალიც ხომ გამტყუნდებოდა!

ჯულია
მამ უსათუოთ შენა გწერს ვინმე ტკბილ შაირებსა!

ლუჩეტა
თუ აგრე არის, მამ შეიძლება, რომ დავამღერო და ხმა მასწავლეთ.

ჯულია
მაგეებისა არა ვიცი რა.
თუნდ ამ ხმაზედ სთქვი: „სიყვარულის მნათობო!..“

ლუჩეტა
ამ შაირისთვის ეგ ხმა არ ვარგა, - მდაბალი არის.

ჯულია
როგორ მდაბალი? მამ ეგ მაღალი ყოფილა რამე?

ლუჩეტა
მაღალი, მაგრამ ხმა დიად ტკბილი, თქვენ თუ დაჰმღერებთ.

ჯულია
რატომ შენ არა?

ლუჩეტა
მე ამისს კილოს სულ ვერ მივაგნებ.

ჯულია
მაჩვენე ერთი!.. მაჩვენე მეთქი!..

ლუჩეტა
მიირთვით, მაგრამ კილოს ნუ შეჰსცვლით. მე კი ჩემ თავათ
მაგისი კილო არაფრად მომწონს.

ჯულია
რატომა მერე?

ლუჩეტა
მეტად ძნელია, აწევა უნდა!

ჯულია
შენ მანდ, მგონია, ჰბოდავ რაღასაც.

ლუჩეტა
აკი ვიცოდი, კილოს შეცვლიდით.
ბანი და კილო სულ აირია.
ცხადათა ვჰხედავ, რომ კილოს მთქმელი გვაკლია აქა.

ჯულია
შენვე გვაყრუებ ბოხის ბანიითა.

ლუჩეტა
მე პროტეოსის ბანს ვამბობ აქა.

ჯულია
კიდევა? კმარა! მეტათ მომწყინდა (წიგნსა ჰფხრეწს)
შენი ბრიყვული მიდებ-მოდება! გაეთრი გარეთ!
გაეთრი მეთქი! მაგ ნაფხრეწებთან რაღა საქმე გაქვს?
რომ გამაჯავრო, ის გინდა განა?

ლუჩეტა (ცალკე)
მალიან წყრება; მაგრამ გულით კი უნდა კიდევა,
ახალის წიგნით რომ ვაწყენინო.
(გავა)

ჯულია
ნეტავი, მართლა, ერთი ამ გვარად კიდევ შემბედოს!
საზიზღო ხელო! როგორ დაგლიჯე ტრფობის სიტყვები!
კრულთ ტრაზანავ, თაფლსაც რომ სწუწნი და ყვავილსაც ჰკლავ
გესლიანისა შენის ნისკარტით. მე ამით დაგსჯი,
რომ ამ ნაგლეჯებს აგაკრეფინებ და გადავჰკოცნი! -
აქა სწერია: გულნაზო ჯული? - კაპასო ჯული!
შენი უგვანი უმადურების სამაგიეროდ ქვებზედ

მივაგდებ ამ შენს სახელსა
 და ფეხით გავსრეს შენს სიამაყეს! -
 აქა სწერია: გულ-დაკოდილი პროტეოსიო!
 ტკბილო სახელო დადონებულო! აქ განისვენე,
 ამ გულზედ, მანამ სულ მორჩებოდე; და ნება მომეც,
 რომ ამბორს გიყო; მაგრამ ორჯელა! ორჯელ სწერია
 ხომ ეს სახელი! ქარო არ გაჩნდე, კეთილო ქარო!
 და ეს ფურცლები არ მოიტაცო, მანამ ავკრეფდე
 ყველას, ყველასა, ჩემს სახელს გარდა; - და ეს სახელი
 თუნდ ქარიშხალმა კლდეზედ შეაგდოს, შავზედ, საზარზედ,
 და იქიდანაც გადასცეს ზღვასა აღელვებულსა. -
 აქ ერთს სტრიქონში იმის სახელი ორჯელ სწერია:
 პროტეოს წყლული, პროტეოს გულით, გრძნობით ტრფიალი,
 სათაყვანებელს ჩემს ჯულიასა! ამას კი მოვჭხეც;
 მაგრამ რისთვისა? ორივე სახელი კარგათ არიან
 შეტოლებულნი! მაშ ისე დავჭკეც, რომ ერთათ იყვნენ,
 ჰკოცნეთ, ეხვიეთ, ისიამოვნეთ, რაცა გნებავდეთ!

ლუჩეტა
 მადამ! სადილი მზათ გახლავთ ახლა და მამა გელისთ.

ჯულია
 კარგი, წავიდეთ!

ლუჩეტა
 ესენი დარჩეს? ავკრეფ, რომ არა წამოროშონ რა.

ჯულია
 გასაფრთხილებლად თუ მიგაჩნია, დიად აკრიფე!

ლუჩეტა
 ისიც გადამხდა, ხელიდამ წიგნი რომ ძირს გამვარდა,
 თუ აქ გავუშვი, ხომ უარესი, გაცივდებიან.

ჯულია
 მე ვჭხედავ, დიდათ აფასებ შენთვის მაგ ნაფლეთებსა.

ლუჩეტა
 დიად, ვჭხედამო, კარგათა ბრძანებთ; მაგრამ მეც ვჭხედავ
 ზოგიერთ საქმეს, თუმცა გგონიათ, რომ სულ ბრმა ვიყო.

ჯულია
 წავიდეთ, კარგი! მოხვალ თუ არა?
 (გავლენ)

სცენა 3. იმავე ქალაქში. ოთახი ანტონიოს სახლში
 შემოვლენ ანტონიო და პანთინო

ანტონიო

პანტინო! ჩემი ძმა რომ რაღასაც გეუბნებოდა,
 მითხარ, რა იყო? რა საქმეებზედ ლაპარაკობდით?

პანტინო

თავის ძმის წულზედ ლაპარაკობდა, თქვენს პროტეოსზედ.

ანტონიო

მაინც, რაზედა?

პანტინო

უკვირდა, რომ თქვენ შვილს ნებას აძლევთ შინ-ყოფნისასა,
 როდესაც ბევრით თქვენზედ მდაბალნი სხვაგან გზავნიან
 თავის შვილებსა, რომ დახელოვნდნენ და განვითარდნენ:
 ზოგნი საომრად, რომ ისახელონ თავისი თავი; -
 ზოგნი რომ ზღვაში ახალს კუნძულებს აღმოაჩენდნენ;
 ზოგნი - სწავლისთვის, უნივერსიტეტს, სამეცნიეროდ.
 ამას ბძანებს, რომ თქვენს შვილს ყოველგან
 შეუძლიაო გამოჩენაო, და მე მიბძანა
 თქვენ მოგახსენოთ, შინ რათ იჭერთო; ნება მიეცით
 სხვაგან წასვლისა; თორემ როდესაც მოხუცდებაო,
 ბევრს იწუხებსო ყმაწვილობაში შინ ჯდომასაო.

ანტონიო

ბევრი თათბირი არ უნდა აქა; - თვე მეტი არის,
 რომ მეცა ვჰფიქრობ და ვარჩევ მაგას. კარგათა ვჰხედავ,
 რომ ჰკარგავს დროსა და არ ივარგებს, თუ სხვა ქვეყნებში
 მიხედ-მოხედვას არ შეუდგება. გამოცდილება
 დიდი რამ არის; და თუ არ საქმით, ხომ არ იქნება;
 დროც თუ არ შესწევს, არც ეს ივარგებს. ახლა მითხარი
 საით გგონია სამჯობი იყოს, რომ გავისტუმროთ?

პანტინო

ვჰგონებ, ბატონო! მოგეხსენებათ, რომ თან შეზრდილი
 და მეგობარი თქვენის შვილისა, ის... ვალენტინი,
 იმპერატორთან არის ამ ჟამად!

ანტონიო

როგორ არ ვიცი!

პანტინო

თქვენი რისხვა მაქვს, თუ არა სჯობდეს, რომ პროტეოსიც
 იქით გაჰგზავნოთ; ცხენოსნობასა და ჯირითობას
 კარგათ ისწავლის ხალხში ყოფნასა, კარგს საუბარსა,
 სუ ყველაფერსა, რაც რომ შეჰშვენის იმის ასაკსა
 და გვარ-შვილობას.

ანტონიო

ეგ აზრი მომწონს; რიგიანია! მე დაგიმტკიცებ,
რომ მიჯერია, და რასაც ვიტყვი შევასრულებდა.
როგორც შემთხვევა გაჩნდება რამე,
მამინვე ვგზავნი იმპერატორთან.

პანტინო

თუ რომ ინებებთ, დონ ალფონსო და ორი თუ სამი
სხვა საპატიო მოქალაქენი ხვალ მივლენ მილანს.

ანტონიო

სხვა რაღა გვინდა. მამ პროტეოსიც იმასთან წავა.
აგერ, ისიცა! შენ გაგვეცალე.
(შემოვა პროტეოს. წიგნი უჭირავს ხელში. მამას ვერ ჰხედავს)

პროტეოს

ტკბილო სატრფოო! ტკბილო წერილო! ტკბილო სიცოცხლე!
აჰ, იმის ხელი და მოციქული იმის გულისა!
თავის სიყვარულს ამით მარწმუნებს და მეფიცება.
ჩვენს სიყვარულზედ ჩვენი მშობლებიც რომ დაგვეთანხმნენ
და ნება მოგვცენ ჯვარის წერისა!! ოჰ, ნეტარებავ!
ოჰ, ზეციერო მნათო ჯულიავ!

ანტონიო

რა არის ეგა, რასა კითხულობ?

პროტეოს (შეკრთომით)

ეს გახლავს ორი თუ სამი სიტყვა ვალენტინისა;
მგზავრი უნახავს აქ მომავალი და იწერება - კარგათა ვარო.

ანტონიო

მაჩვენე ერთი, აბა, რასა გწერს ახალს ამბავსა?

პროტეოს

მაგდენს არაფერს, ბატონო მამა! ამას მწერს, რომა
კარგათა ვარო, ვმხიარულობო, იმპერატორი
დიდათ მწყალობსო; - ჰსურს მეც იქ ვიყო, რომ თავის ბედი
გამიზიაროს.

ანტონიო

მაგ სურვილისას შენ რაღას იტყვი?

პროტეოს

რასაც თქვენ ბმანებთ, იმას ვადგევარ, ბატონო მამა!
მეგობრის სურვილს თქვენს ბრძანებასთან რა ხმა ექნება?

ანტონიო

რაც იმასა ჰსურს, ჩემი სურვილიც სწორეთ ეგ არის.
ნუ გიკვირს, შვილო! ეს მოწყვეტილი ჩემი პასუხი.

რასაც კი ვიტყვი, ხომ კარგად იცი, შევასრულებცა.
 მე ეს ვარჩიე, რომ შენც იქ დაჰყო რამდენსამე ხანს
 ვალენტინესთან იმპერატორის სასახლეშია:
 სახარჯავათ ფულს იმდენს გაგიჩენ, რასაც ვალენტინს
 მამა უგზავნის. მამ ხვალ მზათ იყავ, რომ გზას დაადგე; -
 აქ ლაპარაკი არა უნდარა; ვჰსთქვი და გათავდა.

პროტეოს

ბატონო მამა! აგრე საჩქაროთ როგორ იქნება!
 ერთი-ორი დღე მაინც მაცალეთ, რომ მოვემზადო.

პროტეოს

აბა რიდასთვის! თუ დაგაკლდა რამ, იქ მოგამშველებთ.
 მაშასადამე დაგვიანება რის მაქნისია!
 ხვალვე სჯობს წასვლა. აქ მო, პანთინო! მე შენ მოგანდობ,
 რომ ყოვლის ფრითა ხელი შეუწყო და მოამზადო.
 (ანტონიო და პანთინო გავლენ)

პროტეოს

ერთს ჭირს გავექეც, ახლა მეორეს უარესს შევჰხვდი.
 ცეცხლს მოვერიდე, არ დამწვას მეთქი; და მაგიერად
 წყალში ჩავვარდი და ვიღუპები! ვერიდებოდი,
 რომ აქ მამაჩემს ჯულიას წიგნი არ წაეკითხა,
 ჩემს სიყვარულზედ არ გამწყრალიყო და ამის ნაცვლად,
 თვითონ მე ვუთხარ, რისაც უარესს ის ვერ მეტყოდა.
 ოჰ! როგორა ჰგავს ეს ტრფიალება აპრილის დღესა!
 ერთს წამს უყურებ, მზე ჰბრწყინავს, გვათბობს; გამოიხედავ,
 ისევ დაჰღრუბლა და დააბნელა ცა და ქვეყანა.
 (შემოვა პანთინო)

პანთინო

ბატონო პროტე! მამა გიბძანებთ, ეხლავ მოდიო;
 ნუ იგვიანებთ, რომ არ გაჯავრდეს.

პროტეოს

რას ჰნიშნავს ესა? დამორჩილდიო, გული მომძახის;
 არა, არაო, - ამასაც მითქვამს?.. უნდა წავიდე!

მოქმედება მეორე

სცენა 1. მილანი. ოთახი დუკის სასახლეში
შემოვლენ ვალენტინ და მარდი

მარდი

ბატონო! აგერ, თქვენი თათმანი!

ვალენტინ

ჩემი თათმანი ხელზედ მაცვია.

მარდი

ცალია და მაშ ვისი იქნება?

ვალენტინ

რაო? მაჩვენე! ჩემია, ჩემი! მომეცი აქა! ოჰ, სამკაულო! რომელი ეცმი ღთიურსა ხელსა! ო! სილვია!
სილვია!!

მარდი

მადამ სილვია! მადამ სილვია!

ვალენტინ

რა გაღრიალებს, რა მოგეჩვენა?

მარდი

არ ესმის, ბატონო და მაშაჰ!

ვალენტინ

მერე ვინ გითხრა, დაუძახეო?

მარდი

თქვენ არ უძახდით? იქნება ისე მომესმა?

ვალენტინ

კიდევ არ იშლი შენს სისწრაფეს?

მარდი

გუშინ არ იყო, მიჯავრდებოდით, ზარმაცი ხარო!

ვალენტინ

კარგი! მითხარი! მერე - სილვია იცი ვინ არის?

მარდი

თქვენ რომ გიყვართ, ბატონო, ის არ არი?

ვალენტინ

მერე რა იცი, რომ მიყვარს ვინმე?

მარდი

აი, მოგახსენებ, როგორ შევიტყე: ჯერ ერთი ესა, რომა, პროტეოსივით ხელების მტვრევა გისწავლიათ, თითქო სუყველაფერზე გაჯავრებული იყოთო; - მერე ყვითელი ჩიტვიტით დასტვენთ, თითქო არშიყობას იმდერდეთო. - ხალხს ერიდებით, თითქო სნება სჭირდეს ვისმეო; - ახლა ისე ოხრავთ და ხვნეშით, როგორც შაგირდი, ანაბანა რომ დაუკარგავს; - ყმაწვილი ქალივით იცინგლებით, თითქო ბებია მოგკვდომოდეთ; - არასა სჭამთ, თითქო ავადმყოფი იყოთ და ფარეზობდეთ; არ იძინებთ, თითქო ქურდისა გეშინოდეთ; - მერე დღეობის მთხოვარივით ჩაცივება დაგჩემებიათ. - უწინ რომ იცინოდით ხოლმე, მამლის ყივილსა ჰგავდა თქვენი კასკასი; - უწინ რომ დადიოდით ხოლმე - ლომს მიგიგავდათ სიარული; - თუ მარხულობდით როდისმე, ისევ სადილთ უკან თუ; თუ დაგაღონებდათ რამე, ისევ უფულობა თუ; ახლა კი თქვენ საყვარელ ქალს ისე გამოუცვლიხართ რომა, მე რომ გიყურებთ, ძლივლა გცნობთ ჩემ ბატონათა.

ვალენტინ

რაც მანდ მოთვალე, ყველა ეგ ჩემში არის ვითამა?

მარდი

სულ ზედ გაჩნიათ.

ვალენტინ

როგორ თუ ზედა?

მარდი

ზედა მეთქი? დიად, სწორეთ. სხვა ვინ იქნება ისეთი, რომ ამდენნაირი სისულელე გარედამაც აჩნდეს. თქვენში კი ისე არის გამჯდარი, რომ როგორც სტაქანიდამ... სულ ისე გამოჩანს; - ვინც კი შემოგხედავთ, აქიმიც რომ არ იყოს, მაინც მაშინვე შეგატყობთ, რაცა გჭირთ.

ვალენტინ

ერთი მითხარი, შენ სინიორა სილვიას იცნობ?

მარდი

იმასა, როცა ვახშმათა ხართ, თვალს რომ არ აცილებთ ხოლმე?

ვალენტინ

ჰო, იმას! ეგეც შეგიმჩნევია?

მარდი

ვერა, ბატონო, ვერ ვიცნობ.

ვალენტინ

ნეტა რას მიჰქარამ; თვალს რომ არ ვაცილებ ეს შეგიმჩნევია და ვისაც არ ვაცილებ, იმას კი ვერ იცნობ?

მარდი

მეტათ რალაც რამ უჟმური რომ არის, ის ხომ არ არის?

ვალენტინ

როგორ თუ უჟმური! ისე მშვენიერი ვერ არის, როგორც სანდომიანია.

მარდი

ეგ ხომ მეც ვიცოდი.

ვალენტინ
რა იცოდი?

მარდი
რომ ისე ლამაზი ვერ არის, როგორც სანდომიანია, თქვენის ჭკუით.

ვალენტინ
მე ვამბობ, რომ იმისი მშვენიერება გასაოცარია და გულის სიკეთე იმისი - დაუფასებელი.

მარდი
ეგ იმიტომ, რომ ერთი არის ნახატი და მეორე უფასო.

ვალენტინ
როგორ ნახატი? როგორ უფასო?

მარდი
ისე ნახატი და ისე უფასო, რომ იმის სილამაზეს სულაც არაფრად ჩააგდებენ.

ვალენტინ
მამ შენ მე როგორ მიცნობ, იმის მშვენიერებას რომ ვეტრფი.

მარდი
რა რომ წახდა, მას აქეთ ხომ ჯერ არ გინახავთ.

ვალენტინ
როდის წახდა, მერე?

მარდი
არშიყოფა რომ დაუწყეთ, მასუკან.

ვალენტინ
რაც ერთხელა ვნახე, სულ ის არის, ყოვლად მშვენიერი.

მარდი
დანიახეთ თუ არა, მაშინვე თუ გაუარშიყდით, როგორღა გაშინჯავდით?

ვალენტინ
ნეტა რა ვქნა?

მარდი
ხომ მოგეხსენებათ, სიყვარული ბრმა არისო, ჩემი თვალები მაინც გქონიყოთ, ან ისევ ის თვალები, ნათლათ რომ იხედებოდით, როდესაც პროტეოსს აყვედრებდით, უწვივსაკრავოდ რად დადიხარო?

ვალენტინ
რომ გამეშინჯა, რა უნდა შემეტყო?

მარდი
თქვენი ახლანდელი გონების ნაკლებობა და იმ ქალის სიგონჯე. პროტეოსი ქალის სიყვარულით ვედარა ჰხედავდა, რომ უწვივსაკრავოდ გამოდიოდა და ახლა ვედარც თქვენა ჰხედავთ ამასა.

ვალენტინ

ბიჭო, მაშ ამ ანგარიშით შენც უნდა გიყვარდეს ვინმე; ამიტომ, რომ დღეს დილას ველარა ჰხედავდი, რომ ჩექმებს გაუწმენდელს მაცმევდი.

მარდი

ეგ მართალია, ბატონო! ჩემ ქვეშსაგებს ვეტრფოდი მაშინა. მაღლობას მოგახსენებთ, რომ დამტუქსეთ და ჩემს საყვარელს მომაცილეთ. ამის სამაგიეროდ ახლა მე გიბედავთ, რომ თქვენც გაყვედროთ თქვენი საყვარელი.

ვალენტინ

ბოლოს გამოდის, რომ მე ჩემს მგზნებარე სიყვარულს მაინც მოუცილებლად ვადგივარ.

მარდი

რომ ჩაგვამდნენ სადმე, მალე არ ჩაქრებოდა ეგ თქვენი მგზნებარე სიყვარული.

ვალენტინ

წუხელის ერთ კაცთან წიგნის მიწერა დამსაქმა, ჩემი მეგობარიაო.

მარდი

მერე? დაუწერეთ?

ვალენტინ

რასაკვირველია.

მარდი

აბა, ეგ წიგნაკი არ გამოვიდოდა უთავბოლო, მე მოგახსენო.

ვალენტინ

სულაც არა; როგორც კი შემეძლო, ისე კარგათ დავუწერე. - ჩუმათ! აგერ თვითანაც მობმანდება. (შემოვა სილვია)

მარდი

ერთი ამ კუკების თამაშობას უყურეთ! როგორ მოუხერხებია და? თავის მაგიერათ ამასვე ალაპარაკებს წიგნითა.

ვალენტინ

ბატონო მადამ! დილა ნებისა ათას გზის!

მარდი (ცალკე)

დამე ნებისა არ ერჩივნა! მაგრამ ერთი ერთმანერთს ვინ რამდენაირათ მოიკითხავს - ვინ იცის.

სილვია

ჩემო მხლებელი სინიორ ვალენტინ! აგრეთვე თქვენცა ორი ათას გზის!

მარდი (ცალკე)

სარგებელი ამას უნდა ეძლია და ის აძლევს; უყურეთ ერთი!

ვალენტინ

თქვენ რომ წუხელის წიგნი მიბმანეთ, დავსწერე უცნობს

თქვენს მეგობართან. მე ვერ გავსწევდი ამ შრომას, თუ არ
 თქვენის სურვილის აღსასრულებლად.

სილვია

დიდათა გმადლობთ, კეთილშობილო ჩემო მხლებელო!
 ძალიან კარგათ დაგიწერიათ.

ვალენტინ

მერწმუნეთ, მადამ! მაგისი წერა მეტად მიჭირდა,
 რომ არ ვიცოდი ვისთანა ვსწერდი.

სილვია

ხომ არ შესწუხდით მაგ ჯაფისაგან?

ვალენტინ

ოჰ, არა, მადამ! ათასსაც დავსწერ,
 თუ რომ ინებებთ და მე დამსაქმებთ. მე მზად გახლავარ; -
 მაგრამ მაინც კი.

სილვია

კარგი სიტყვაა! მესმის ეგ აზრი; მაგრამ მაინც კი -
 სახელს არ გეტყვით; - მაგრამ მაინც კი - მე არა ვსწუხვარ;
 მაგრამ მაინც კი - თქვენთანვე დარჩეს; მაგრამ მაინც კი -
 დიდათა გმადლობთ, - და ამას იქით არ შეგაწუხებთ.

მარდი (ცალკე)

მაგრამ მაინც კი შეგაწუხებო, - და კიდევაც სხვა, მაგრამ მაინც კი, - მაგრამ მაინც კი.

ვალენტინ

რას ბძანებთ, მადამ! იქნება წიგნი არ მოგეწონათ?

სილვია

ოჰ, როგორ არა! მშვენივრად არის, დიად მშვენივრად.
 მაგრამ რადგანაც თქვენს უნებურად დაგაწერინეთ, -
 თქვენთვისვე დარჩეს.

ვალენტინ

თქვენთვის ნაწერი ჩემთვის რათ დარჩეს?

სილვია

აგრე არ არის; ჩემგან ნაწერი და არა ჩემთვის
 მე რომ მეწერა, უფრო საგრძნობლად გამოვიყვანდი.

ვალენტინ

მამ სხვას დაგიწერთ, თუ რომ ინებებთ.

სილვია

კარგი იქნება! და რომ დასწეროთ, ჩემმაგიერად
 თქვენ წაიკითხეთ. თუ მოგეწონათ - დიად კეთილი;

თუ არა - მაინც დიად კეთილი.

ვალენტინ
ვსთქვათ, მომეწონა; მერე რა უყო?

სილვია
თქვენთანვე დარჩეს თქვენს გასამრჯელოდ.
ახლა - მშვიდობით, ჩემო მხლებელო!
(გავა)

მარდი (ცალკე)
ეს მოხერხება სად გაგონილა, ვისგანა თქმულა,
არსად ნახულა, როგორც რომ ცხვირი კაცის სახეზედ,
როგორც მამალი სამრეკლოზედა. ჩემი ბატონი
იმისთვის კვდება; ის კი ამბობს, რომ მხლებელი ხარო,
და თითქო შაგირდს თითონ ასწავლის, ასე უნდაო!
ვინ იფიქრებდა ამისთანასა? მწერლათ დაუსვამს
და თავის თავთან წიგნს აწერინებს.

ვალენტინ
მანდ რას ბუტბუტებ?

მარდი
ისე ვბუტბუტებ, თქვენ კაი რჩევა გმართებთ ახლა.

ვალენტინ
რაზედა?

მარდი
მადამ სილვიას მოციქულობაზედა.

ვალენტინ
ვისთანა?

მარდი
თითონ თქვენთანა; თავისი სიყვარული რომ ეშმაკობით შეგატყობინათ.

ვალენტინ
როგორ? რით შემატყობინა?

მარდი
რითი და წიგნითა.

ვალენტინ
ჩემთვის იმას წიგნი არა მოუწერიარა!

მარდი
რაკი თქვენვე დაგაწერინათ, თითონ რაღათ მოგწერდათ. კიდევაც ვერ მიმხვდარხართ, მგონია.

ვალენტინ
ვერა, მერწმუნე.

მარდი
იმისი ფიქრი რა იყო, ვითამ ვერ მიუხვდით?

ვალენტინ
ზოგიერთ მკვახე სიტყვას გარდა იმას ჩემთვის არა უთქვამს რა.

მარდი
ნეტა რა ვჰქნა! წიგნი რომ მოგცათ, ის რა იყო?

ვალენტინ
ეს წიგნი იმის მეგობართან არის მიწერილი.

მარდი
საქმეც ეგ არის, რომ ეგ წიგნი თქვენ მოგცათ.

ვალენტინ
ღმერთმა ინებოს, რომ უარესი არა იყოსრა!

მარდი
მე თქვენ გარწმუნებთ, რომ უკეთესი არ შეიძლება!
თქვენ წიგნის წერა დიახ არ გიჭირთ; მაგრამ იმას კი, -
მორცხვობითა თუ, ჩემს გულის პასუხს
არ მიმიხვდნენო, ეს უფიქრნია: ჩემს საყვარელთან,
ჩემმაგიერად, თითონ იმანვე დამიწეროსო.
მე ამას ბეჯითად ვამბობ, რადგან ვიცი რომ სწორეთ ასეა...
ახლა რაღასა ჰფიქრობთ, ბატონო! სადილის დრო გახლავთ.

ვალენტინ
მე ნასადილევი ვარ.

მარდი
ეგ დიახ კარგი; მაგრამ ერთი რამ უნდა გაიმბოთ. სიყვარული ისეთი რამ გველემაპია, რომ ცარიელი
ჰაერიც რომ ჰყლაპოს, საკვებავთ ისიც ეყოფა. მე კი ჩემი ულუფა მეჭირვება და სწორე მოგახსენოთ,
ძალიანაცა მშია. თქვენს სიყვარულს ნუ მიჰხედავთ ახლა და ჩემთვისაც გასძარით ხელი, გაანძრიეთ
ერთი.
(გავლენ)

სცენა 2. ვერონა. ოთახი ჯულისას სახლში
შემოვლენ პროტოს და ჯულია

პროტოს
მოთმენა გვმართებს, ნეტარებაო ჩემო, ჯულია!

ჯულია
სხვა საშველი რომ არა არის რა, რა გაეწყობა?

პროტეოს
დროს რომ ვიხელებ, მაშინვე მოვალ.

ჯულია
თუ რომ შენ გული არ შეგეცვალა, მალე იქნება.
აჰა! სახსოვრად გქონდეს ეს შენის ჯულიასაგან.
(ბეჭედს აძლევს)

პროტეოს
უნდა შევსცვალოთ. აი, ეს ჩემგან!

ჯულია
და ეს კავშირი აღვბეჭდოთ ჩვენში წმინდა ამბორით.
(ერთმანერთს აკოცებენ)

პროტეოს
აჰა, ხელს გამღევ ამ ჩემის აღთქმის დასამოწმებლად:
თუ რომ საათი ისე გავიდა ერთხელ როდისმე,
რომ ჩემს ჯულიას გულ-მოწყვეტილი არ ვიგონებდე,
მეორე საათს უზენაესის რისხვა მომადგეს, -
საქენჯნავისა და წარმწყმედელის დავიწყებისთვის. -
სხვას ნულარ ვიტყვით; დრო არის ახლა; მამა მიმელის!
შენი ჭირიმე ნუ ატირდები, დამაგვიანებ.
ახლა მშვიდობით! (ჯულია გავა) როგორ? გავიდა?
ხმაც არ გამომცა? მაგრამ რაღა ხმა? თუ სიყვარული
ქეშმარიტია, იქ ლაპარაკი რის მაქნისია?
ნამდვილი გრძნობა საქმით მოქმედებს და არა სიტყვით.
(შემოვა პანთინო)

პანთინო
ბატონო პროტე! გარეთ გელიან!

პროტეოს
მოვალ, მოვდივარ! ეჰ! რაღა გვეთქმის.
ოდეს ტრფიალნი ერთი ერთმანერთს განჰმორდებიან,
სიტყვა უწყდებათ და მუნჯდებიან.
(გავლენ)

სცენა 3. ვერონა. ქუჩა
შემოვა ლაუნსი და თავისი ძალი შემოჰყავს ბაწრით

ლაუნსი
არა! მე ერთი საათიც არ მეყოფა, რომ თვალები შევიშრო! ასე გვჭირს ყველა ლაუნსებსა. როგორც უძღებ
შვილსა, მეც შემხვდა ჩემი რიგი - და ახლა ბატონს პროტეოსს უნდა გავჰყვე, იმპერატორთან რომ
მიბმანდება. მე მგონია, ამ ჩემი კრაბისთანა უგულო ძალი მთელ ქვეყანაზედ არსად იპოვებოდეს. აბა
თქვენი ჭირიმე: დედაჩემი ქვითქვითებს; მამაჩემი იცინგლება; ჩემი და ღრიალებს; ჩვენი გადია
ტირილითა სკდება; ჩვენი კატა ხელებს იმტვრევს მწუხარებითა; - მთელი ოჯახი სულ
გადმობრუნებულია ალიაქოთითა, და ამ წყეულმა ძალმა აბა თუ ერთი ცრემლი გადმოაგდოს! ქვა
არის ეს ტიელი; ტალია, და როგორც ძალს არა აქვს შებრალება, ისე ამასა. ურისასაც კი ამოუჯდებოდა

გული, ჩვენი გამოსალმება რომ ენახა! მაგრამ ურია რა? ასე გაშინჯეთ, ჩვენმა ბებერმა გადიამაც კი დაითხარა თვალები ტირილითა! აი, ეხლავ გიჩვენებთ, როგორ იყო! ეს ბაშმაკი არის, ვსთქვათ, მამაჩემი! - მაგრამ არა; მამაჩემი ეს მარცხენა ბაშმაკია! - ოჰ, არა, არა! დედაჩემია ესა! თუ არც დედაჩემია? დიად! როგორ არა, სწორეთ დედაჩემია; ძირი ამას უფრო გაცვეთილი აქვს! - ეს ძირგაცვეთილი ბაშმაკი დედაჩემია და ეს მეორე - მამაჩემი. ცუდი კაცი ვიყო, თუ ეს ასე არ იყოს! ახლა, ბატონებო! ეს წკეპლა ჩემი და არის, ამიტომ რომა, უნდა მოგახსენოთ, ჩემი და ისეთი თეთრია, როგორც ზამბახი და ისეთი წვრილია, როგორც ლატანი, - ლატანი რას ჰქვია, - როგორც წკეპლა. - ეს ქუდი არის ნენე, ჩვენი გამდელი. მე ვარ ძალდი. ნწ, ნწ! ძალდი ეს არის და მე ძალდი ვარ. ოჰ! არა! ის ძალდი არის მე და მე ვარ მე. დიახ! ასე, ასე! ახლა - მივდივარ მამაჩემთან: „გზა დამილოცე, მამაჩემო!“ და აი, ბაშმაკი ხმას ვერ იღებს, სულ იცინგლება. ვესალმები და ვკოცნი მამაჩემსა, მაგრამ გულამომჯდარი მაინც ვერ იღებს ხმასა. ახლა მივალ დედაჩემთან. (ოჰ! ეს ბაშმაკიც რომ გამწარებული დედაკაცივით ალაპარაკებოდეს!) კარგი! მივალ, გადავხვევი და კოცნას დავუწყებ, აი, სწორეთ ასე. ეს სწორეთ იმისი ქშენაა აქეთ-იქიდან? ახლა მივალ ჩემ დასთან. გესმით, გესმით თქვენი ჭირიძე, როგორა ღრიალებს? და ეს წყეული, ეს შეჩვენებული ძალდი, ისე შეკრული დგას, რომ ცრემლი არ გადმოუფდია, კრინტი არ ამოუღია, - და მე ხომ მხედამთ, ცრემლებით ეხლავ რომ მიწას ვატალახებ. (შემოვა პანთინო)

პანთინო

ლაუნს, გასწიე, ახლავ გასწიე! შენი ბატონი გემშია ახლა და შენ ნავითლა თუ მოეწევი. მაგრამ, რა დაგმართვია, რას ხვიხვინებ მანდა? გაიქე მეთქი, თორემ, თუ ერთი წამი კიდეც დაიგვიანე, სულ დაჰკარგავ...

ლაუნსი

ოჰ, ოჰ, ოჰ! მართალია, თავს მოვიკლამ, თუ ამისთანა შეუბრალებელი დავჰკარგე.

პანთინო

ვინაა, მერე, შეუბრალებელი?

ლაუნსი

ვინა და ეს ჩემი ძალდი!

პანთინო

რამ გამოგაშტერა, კაცო! მე გეუბნები, რომ ზღვა გაბრუნდება და შემთხვევას დაჰკარგამ მეთქი, რომ გემსლა მოეწიო; თუ ეს შემთხვევა დაჰკარგე, გზასაც დაჰკარგავ; თუ გზა დაჰკარგე, ბატონსაც დაჰკარგავ; თუ ბატონი დაჰკარგე, სამსახურსაც დაჰკარგავ; და თუ სამსახური დაჰკარგე... რაო? რაზე მაფარებ პირზე ხელსა?

ლაუნსი

შენ ეგ ენა არ დაჰკარგო!

პანთინო

ენას როგორ დაჰკარგავ, რას ამბობ?

ლაუნს

როგორა და ლაქლაქითა.

პანთინო

როგორ თუ ლაქლაქითა?

ლაუნს

დროს დაჰკარგამო, გზასაო, ბატონსაო, სამსახურსაო და ადგილსაო. გამიგონე შენ, ეი! მდინარე რომ სულ გაშრებოდეს კიდეცა, ჩემი ცრემლებით ვადენდი; ქარი რომ სულ დადგებოდეს, ნავს ჩემი ვაითა და უით ვარბენინებდი.

პანტინო

გეყოფა, კაცო! გამოსწი მეთქი. შენ დასაძახებლად გამომგზავნეს მე აქა.

ლაუნს

დამიძახე და რაღას უყურებ?

პანტინო

მოდინხარ თუ არა?

ლაუნს

მოვდივარ, მაშა?

(გავლენ)

სცენა 4. მილანი. ოთახი დუკის სასახლეში

შემოვლენ ვალენტინ, სილვია, თურის და მარდი

სილვია

ჩემო მხლებელო!

ვალენტინ

ბატონო!

მარდი

ბატონო! უფალი თურის როგორღაც იბღვირება.

ვალენტინ

ტრფიალია და იმიტომა.

მარდი

თქვენი - არა მგონია.

ვალენტინ

ჩემი კი არა, ჩემი ქალბატონისა.

მარდი

შეაქცევდით ერთი; ურიგო არ იქნებოდა.

სილვია

ჩემო მხლებელო! გატყობთ, როგორღაც მოწყენილი ხართ.

ვალენტინ

მეცა მგონია, ჩემო ბატონო!

თურიო
თქვენ რაც არა ხართ, ისა გგონიათ?

ვალენტინ
ეგეც იქნება აგრე იყოს.

თურიო
მაშა, ჰსჩანს, ყალბობთ?

ვალენტინ
დიაღ, თქვენსავით.

თურიო
მე როგორა ვჰყალბობ?

ვალენტინ
ვითამ ჰჰკვიანობთ.

თურიო
რაში მეტყობა?

ვალენტინ.
მაგნაირს დაუხედაობაში.

თურიო
მერე აგრეთი რა შემამჩნიეთ?

ვალენტინ
ეგ მორთულობა.

თურიო
უსარჩულოა? თქვენა გგონიათ.

ვალენტინ
თქვენვე ამტკიცებთ. თქვენი სირეგვენე ორკეცი ყოფილა.

თურიო
როგორა, რაო?

სილვია
ჯავრობთ, თურიო? სახე გეცვლებათ.

ვალენტინ
არა უშავს რა; ქამელეონის გვარისა არის.

თურიო
მე ბევრით მიჯობს, თქვენს სისხლსა ვსვამდე, ოღონდ კი თქვენთან არ ვიქნებოდე.

ვალენტინ
გითქვამთ, გახსოვდეთ.

თურიო
მითქვამს და მახსოვს; ამით გათავდა.

ვალენტინ
მე კარგათ ვიცი, რაც არ გიწყვიათ, იმას ათავებთ.

სილვია
საუცხოოთ ესვრით ერთმანერთს სიტყვებსა! ძალიან ფიცხდებით!

ვალენტინ
დიაღ! მადლობა ცეცხლის გამჩენს.

სილვია
ვინ არის, მერე, ცეცხლის გამჩენი?

ვალენტინ
თქვენა ბმანდებით, ყოვლად სანატრო! თქვენ გვიჩენთ ცეცხლსა!
თურიო თავის მჭერმეტყველებას მაგ თვალებიდან
სესხულობს აქა და ნასესხს უხვად აქავე აბნევს, -
თქვენ წინაშევე.

თურიო
სინიორ ვალენტინ! თუ აგრე ჩემთან სიტყვების ხარჯვას
თქვენ არ მოიშლით, მე მალე დავსცლი თქვენს ჭკუის კოლოფს.

ვალენტინ
მე კარგათ ვიცი ეგა, უფალო! თქვენი ხაზინა
სულ სიტყვებია, სხვა არაფერი. თქვენს მსახურებსაც
აჩნიათ ეგა, რომ ჯამაგირი სხვა არა აქვთ რა.

სილვია
ახლა კი კმარა; ეგეც გეყოფათ. ა! მამაჩემი!
(შემოვა დუკი)

დუკი
შვილო სილვია! გეტყობა, მედგრად შემოგჩენიან!
ჩემო ვალენტინ! მამი თქვენისა - კარგი ამბავი! –
რას იტყვით, რომ მე მეგობრებისაც კარგი ამბავი შეგატყობინოთ?

ვალენტინ
თქვენი უგანათლებულესობა რასაც კარგს ამბავს
მიბმანებთ ხოლმე, წრფელის მადლობით მე ვარ ადვსილი.

დუკი
დონ-ანტონიოს იცნობთ თუ ვერა, თქვენის ქვეყნისას.

ვალენტინ

მალიან კარგათ, ჩემო მეუფე: კეთილშობილსა,
პატივცემულსა და შეძლებულსა, სამსახურითაც
გამოჩენილსა.

დუკი

შვილი ჰყავს იმას?

ვალენტინ

დიალ! ბატონო! ყოვლითურთ ღირსი თავისი მამის
იმედისაცა და სახელისაცა.

დუკი

იმასაც იცნობთ?

ვალენტინ

როგორც ჩემს თავსა! სიყმაწვილითვე ერთათ ვიყავით.
და მე კი თუმცა, - აქ აღვიარებ, - ზარმაცი ვიყავ,
რომ ჩემს ძვირფას დროს ფუჭად ვაზნევედი, განვითარებას
არა ვჰფიქრობდი; მაგრამ პროტეოს, სახელი გახლავთ
იმ ყმაწვილისა, - დროს არ კარგავდა, რომ შეეძინა
ყოველი სწავლა. ხნით ყმაწვილია; მაგრამ სწავლითა,
გამოცდილებით, თითქმის მოხუცი, მსჯელობით სრული.
რომ შევამოკლო (რაც უნდა ვაქო, იმის ღირსებას
მანც ვერ აღვსწერ), ყოვლად სრულია ზნეობითაცა
და გონებითაც; ყოვლის თვისებით ყოვლად მდიდარი,
რაც კი შეჰშენის კეთილშობილურს შთამომავლობას.

დუკი

ეგ თუ აგრეა, როგორც თქვენ ამბობთ, - იმპერატორთან
თანამზრახველად რომ განაწესონ, იქაც ივარგებს.
დიალ კეთილი! ეს ჩინებული ყმაწვილი კაცი
აქ არის ახლა. სხვანაცა მწერენ იმის ქებასა
საპატიონი და ღირსნი პირნი, - და აქ აპირებს
რამდენისამე ხნის გატარებას. ვჰგონებ გაიმოთ
თქვენ ეს ამბავი.

ვალენტინ

მაგის უკეთესს მე სხვას ვერაფერს ვერ ვინატრებდი.

დუკი

მაშ იმედი მაქვს, ისე მიიღებთ, როგორც შეჰშენის.
შენ გეუბნები ამას, სილვია! და თქვენ, თურიო!
ვალენტინისას მე არას ვიტყვი. წავალ და ახლავ
გამოგიგზავნით.
(გავა)

ვალენტინ

ის გახლავთ, მე რომ მოგახსენებდით, რომ უსათუოდ

მე მომყვებოდა, იმის თვალეში საყვარლის თვალეშს
რომ არ დაემა.

სილვია
სხვა რამ საწინდარს დასჯერებია, ეტყობა, ქალი,
რომ ტყვეობილამ აგრე ადვილად გამოუშვია!

ვალენტინ
არა მგონია; სარწმუნოდ ვჰფიქრობ, ისევ ტყვედ იყოს.

სილვია
თუ თავის ნებით მოსცილებია, მაშ ბრმა ყოფილა;
და თუ ბრმა არის, როგორ იარა, როგორ მოგაგნოთ?

ვალენტინ
რატომ? ამბობენ, ტრფიალსა აქვს ოცი თვალიო.

თურიო
აგრე კი არა, სულ არა აქვს ტრფიალს თვალიო,
ასე ამბობენ.

ვალენტინ
თქვენებრ ტრფიალსა - დიად, თურიო! უეჭველია,
თუ ტრფიალებამ საზარელს საგანს შეჰხედა სადმე,
იმავე საათს თვალეშს დაჰხუჭავს.
(შემოვა პროტეოს)

სილვია
კმარა, გეყოფათ! აგერ, აქ მოდის ის ყმაწვილიცა.

ვალენტინ
პროტეოს ჩემო! ჩემო პროტეოს!!.. დიდად გთხოვთ, მადამ!
კეთილ ინებოთ და თქვენის მხრითაც სასიამოვნო
სიტყვა უბმანოთ ჩემს მეგობარსა!

სილვია
თუ მართლა თქვენი მეგობარია, ეს თქვენი სიტყვა
თვითვე გვიმოწმებს, რომ საამოა მაგათი მოსვლა.

ვალენტინ
სწორეთ ის გახლავთ; და გვედრებით ნება უბოძოთ,
რომ ესეც იყოს თქვენი მხლებელი, ერთად ჩემთანა.

სილვია
მე რომ მაგვარი მსახური მახლდეს, როგორა ვჰღირსვარ?

პროტეოს
ოჰ! რასა ბმანებთ; მე ვარ უღირსი თქვენის ხლებისა.

ვალენტინ
 უღირსობაზედ ნულა რას ვიტყვით; ნეტარო ლედი!
 გულმოდგინეთ გთხოვთ - თქვენად მხლებელად მიიღოთ ესე!

პროტეოს
 დავიქადებ კი, რომ მტკიცეთ ვადგე თქვენს სამსახურსა.

სილვია
 ერთგულსა მსახურს მარად ექნება თავისი ჯილდო.
 რა რომ ასეა, - მოგესალმებით, ჩემო მსახურო, -
 მე ქალბატონი, თქვენი უღირსი!

პროტეოს
 ეგ რომ სხვას ეთქვა, სწორეთ მოვჰკლავდი.

სილვია
 რა? მოსალმება?

პროტეოს
 არა! რომ ღირსი არ ბძანდებოდეთ.
 (შემოვა მსახური)

მსახური
 მადამ! ბატონმა - აქ მობძანდითო!

სილვია
 ახლავე, ამავე წამს ვეახლები.
 (მსახური გავა)
 თურიო! ჩემთან! ერთათ წავიდეთ! განმეორებით,
 კეთილი იყოს თქვენი აქ მოსვლა, ჩემო ახალო
 მოსამსახურე. ახლა თქვენ თქვენთვის ილაპარაკეთ.
 და მერე კი ეს არ დაივიწყოთ, რომ აქ მოგელით.
 (გავლენ სილვია, თურიო და მარდი)

ვალენტინ
 ახლა, პროტეოს, ჩემო პროტეოს! მითხარ ვერონას
 ვინ როგორ არის?

პროტეოს
 კარგათ ყველანი და მეგობრები თავს გიკვრენ შენა.

ვალენტინ
 შენნი, როგორღა?

პროტეოს
 ისინიც აგრე, ძალიან კარგათ.

ვალენტინ
 შენი ჯულია? თქვენს ტრფიალებას დაბოლოება

მიეცა რამე?

პროტეოს

მაგის ამბავი შენ ხომ ყოველთვის
გეჯავრებოდა და რათა მკითხავ, თავს არ მოგაწყენ.

ვალენტინ

ახლა სულ სხვა ვარ, ჩემო პროტეოს! ის აღარა ვარ.
მძიმედ გარდამხდა მე ტრფიალების შეურაცხება!
იმისმა ძალმა, ყოვლად ძლიერმა, მეტად დამსაჯა:
მარხულობითა, სინანულითა, ცრემლის ფრქვევითა,
ოხვრით, კვნესითა; რაღა არა მჭირს, რომელი გითხრა?
აღარსად ძილი, არც მოსვენება; სულ ტანჯვა, ვნება!
ცხადათა ვჰხედავ, რომ ტრფიალებას დიდი უფლება
ჰქონია ჩვენზედ! კარგათ ვჰგრძნობ ახლა, ჩემო პროტეოს,
რომ ქვეყანაზედ იმაზედ მეტი არა არის რა,
არც მწუხარება, არც ფუფუნება! რა რომ ეს ვიგრძენ,
სალაპარაკო აღარა მაქვს რა; სულ ტრფიალება,
სულ სიყვარული. ესღაა ჩემთვის ახლა საუზმეც,
სადილ-ვახშამიც, მოსვენებაცა და ღამის თევაც.

პროტეოს

ეჰ! ბედნიერი ხომ მაინცა ხარ! თვალებში გატყობ,
რომ შენც გეტრფიან. ახლა რომ ვნახეთ, ის არის შენი
თაყვან საცემი?

ვალენტინ

ზეციერია, ანგელოზია, განა პროტეოს?

პროტეოს

სრულებით არა. ქვეყნიერია, სხვა არაფერი!

ვალენტინ

ღვთიურია-თქო, ასე მითხარი.

პროტეოს

მაგას ვერ გეტყვი; პირმოთნეობას ვერც იმას ვჰკადრებ.

ვალენტინ

მე მითხარ ეგა. საყვარლის ქება სიყვარულს ატკობს
ხომ კარგათ იცი.

პროტეოს

როცა მე ვიყავ მაგით ვნებული, შენ მაყლაპებდი
მწარე აბებსა; - ნუ გაიკვირვებ, რომ შენებურად
მეც გაიქიმო.

ვალენტინ

ნება შენია, რა გამეწყობა;

მართალი მაინც ილაპარაკე. დედოფალია
სხვა ქალებისა; ყველას სჯობია, ეს მაინცა ჰსთქვი.

პროტეოს
ჩემს სატრფოს გარდა.

ვალენტინ
ნუ, ნუ! ნურავის
ნუ გამორიცხავ, მე თუ გიყვარდე. ჩემს გულის გრძნობას
თუ აწყენინე, მე მაწყენინებ.

პროტეოს
რათა გგონია,
მე კი არ მწყინდეს, ჩემს გულით სატრფოს თუ მიმდაბლებენ.

ვალენტინ
შენის საყვარლის აღმატებაში მე შეგეწევი:
იმას ექნება ერთი ღირსება ყოვლად სანატრი, -
რომ ჩემის სატრფოს სამოსის ბოლო ეჭიროს ხელში
და თან მისდევდეს, რომ იმის კაბას მიწა და მტვერი
ვერ ეხებოდნენ; თორემ მაშინვე დაივიწყებენ,
რომ იმათ ჰმართებთ აღმოცენება ყვაველებისა.
ეს ვალდებობა თუ დაივიწყეს, მაშინ ზამთარი
გაგვიმუდმდება და გაზაფხულს სულ ველარა ვნახავთ.

პროტეოს
ნეტა, რას ამბობ, ჩემო ვალენტინ!

ვალენტინ
მე რაც უნდა ვჰსთქვა, გამოუთქმელი დარჩება
მაინც იმის ღირსება,
ის არი მხოლო, უდარებელი!

პროტეოს
მხოლო თუ არის, თავისთვის იყოს. შენ რაღა გინდა.

ვალენტინ
მთელი ქვეყანა მე რომ დამითმონ, მაინც ვერ დავსთმობ.
ის ჩემი არის, საკუთარია და ოცს ზღვაზედაც
უმდიდრესი ვარ იმის პატრონი, თუნდ რაც ქვიშაა,
სულ მარგალიტად გადიქცევოდეს, წყალი ნეკტარად
და ქვა ოქროთა! - მაგრამ, პროტეოს! გთხოვ მომიტევო!
მე ჩემსას ვბოდავ და საშენო კი ველარა ვთქვი რა. -
სილვიას მამას ჩემი სულელი რაყიფი მოსწონს,
მდიდარიო, - და ისინი რომ ერთად წავიდნენ, -
მეც მივაშურებ, თორემ, ხომ იცი, რომ სიყვარული
ეჭვიანია.

პროტეოს

ქალს კი, მგონია, შენ ურჩევნიხარ.

ვალენტინ

ეგ მართალია. დანიშნულნი ვართ და ჯვარის წერაც მალე გვექნება. მაგრამ რადგანაც ამას არ ჰნებავს, - პირობა დავსდეთ: მე ბაწრის კიბით ფანჯრიდამ შევალ, ძირს ჩამოვიყვან და მოვიტაცებ. რაც კი შემდგომში ბედნიერებას მოეხერხება, მოფიქრებული გვაქვს ყოველივე. ახლა, პროტეოს, ჩემსა წავიდეთ და მეგობრულად ხელი შემიწყე ამ ჩემს საქმეში.

პროტეოს

ჯერ ჩემი ბარგი უნდა მოვნახო და მალე მოვალ!

ვალენტინ

ხომ მალე მოხვალ?

პროტეოს

უეჭველია. (ვალენტინ გავა)

როგორც რომ ცეცხლსა ცეცხლივე აქრობს, როგორც ლურსმანი ლურსმანსვე გააქვს, - ისე ახალმა ამ სიყვარულმა მე პირვანდელი გამიქრო გულში და დამავიწყა! მაგრამ ამ დალატს რა მახედვინებს? მშვენიერება ამ ქალისა, თუ ვალენტინისგან მხურვალე ქება? ვსთქვათ, მართალია, მშვენიერია; მაგრამ ჯულიაც მშვენიერია, და დიდად მიყვარს! - არა! მიყვარდა; - ასე უნდა ვსთქვა, რადგან ჩემს გულში ეს სიყვარული ისე გამქრქალდა და ისე დადნა, როგორც რომ ცეცხლზედ სანთლის ტიკინი. ასე მგონია, რომ ვალენტინიც აღარ მიყვარდეს. და სილვია კი, ოჰ! მეტად მიყვარს. პირველის ნახვით ასეთი ცეცხლი თუ მომეკიდა, - დაახლოვებით როცა გავიცნობ, მაშინ ხომ უფრო განძლიერდება ეს სიყვარული! თუ გარეგანმა შეხედულობამ ასე შემცვალა, - იმისი გული; კეთილ-ზნეობით ყოვლითურთ სრული, სულ დამაბრმავებს! მოჰხდეს რაც მოჰხდეს. თუ შევიძელ და უმაგალითო გრძნობა დავთრგუნე, მეც ხომ გადავრჩი; და თუ ვერ ვსძლიე, მაშინ სილვია, რაც უნდა იყოს, უნდა ვიშოვო. (გავა)

სცენა 5. მილანი. ქუჩა

შემოვლენ მარდი და ლაუნსი

მარდი

ღმერთმანი, სანატრელი სტუმარი ხარ, ლაუნს, ამ მილანში.

ლაუნს

ნეტავი არ მიჰქარამდე. რათ ვიქნები სანატრელი! მე სულ ამას ვამბობ, რომ მანამ კაცი ან არ დაკარგულა, ან არ ჩამოუხრჩვიათ, სანატრელი არავისთვის არ იქნება, თუ რომ ანგარიში არავისთანა აქვს რამე გასაწმენდი, ან თუ მასპინძელი არ მიეგებება და არ ეტყვის, მშვიდობა თქვენს მობმანებასაო!

მარდი

აი, სულელო! ამ სასტუმროში შევიდეთ და თუ ხუთიოდე აბაზის ანგარიშს გაუწმენდ, თუნდა ხუთი ათასჯერ გეტყვიან, შვიდობა თქვენს მობმანებასაო! მაგრამ, - ერთი ეს მითხარი, - მადამ ჯულიას როგორ მოსცილდა შენი ბატონი?

ლაუნს

რადა როგორ მოსცილდა! ჯერ ძალიან ხუმრობა გაშვებით შეიყარნენ, და მერე კი ხუმრობით გაიყარნენ.

მარდი

მერე, ქალი ხომ ირთამს შენს ბატონსა?

ლაუნს

არა.

მარდი

როგორ არა? შენი ბატონი ხომ თხოულობს?

ლაუნს

არა, არც ისა.

მარდი

მაშ მოეშალათ?

ლაუნს

სულაც არა; ისევ ისე არიან, როგორც იყვნენ.

მარდი

მაშ რა დამართვიათ?

ლაუნს

რა უნდა დამართვიყოთ, არაფერი; თუ ეს კარგათ არი, - ისიც კარგათ არი.

მარდი

ოჰ, რა ვირი ხარ. მე შენი ვერა გამიგია რა.

ლაუნს

ოჰ, რა ჯირკი ხარ. მე ამ ჯოხსაც კი გავაგებინებდი.

მარდი

ნეტავი აგრე არა ჰფქვამდე და სხვა არა მინდა რა.

ლაუნს

აბა მიყურე, რასა ვშვრები. ჰხედამ, ჯოხზე ვეყუდები?

მარდი
რაო, მერე?

ლაუნს
რაო და ისა, რომ უჭირავარ; ეტყობა, რომ გამიგონა!

მარდი
კარგია, ერთი! ნუ მიედ-მოედები. სწორე მითხარი, ქორწილი იქნება თუ არა?

ლაუნს
ამ ჩემ ძაღლსა ჰკითხე. ჰოო - თუ გითხრა, იქნება; არაო - თუ გითხრა, იქნება. კუდი თუ გაიქნია და არა გითხრა რა - იქნება.

მარდი
მაშ იქნება, რაღა.

ლაუნს
მაგისტანა საქმეს, თუ არ იგავით, შენ სიცოცხლეშიაც კი ვერ წამომათქმევინებ.

მარდი
როგორც უნდა იყოს, ოღონდ კი შევიტყო. შენ ეს იფიქრე, რომ სიყვარულს ახლა ჩემი ბატონიც გამოუშტერებია.

ლაუნს
ეგ მე დიდი ხანია ვიცოდი.

მარდი
რა იცოდი?

ლაუნს
გამოშტერება, როგორც ამბობ.

მარდი
ვერ გაიგე, მე რა გითხარი.

ლაუნს
სულელლო! შენსას ხომ არ ვამბობ, შენი ბატონისას ვამბობ.

მარდი
მე ამას გეუბნები, ქალისთვის ახლა ჩემი ბატონიცა კვდება მეთქი.

ლაუნს
არა, მე რას ვინაღვლი, მართლათაც რომ მოკვდებოდეს. აი, თუ გინდა აქ შევიდეთ და დავლიოთ. არ შემოხვალ და ურია იქნები, რომ ქრისტიანობა არ გერქვას.

მარდი
რატომა მერე?

ლაუნს

იმიტომ, რომ იმდენი გულიც არა გქონია, რომ მეგობრობის გულისთვის ქრისტიან კაცს დუქანში შეჰყვე; ვიღასთვის მოკვდები შენა? მოეთრევი თუ არა?

მარდი

მოვალ, მო!

(გავლენ)

სცენა 6. ოთახი დუკის სასახლეში

შემოვა პროტეოს

პროტეოს

ჩემს ჯულიაზედ ხელის აღება - ხომ დალატია!
 სილვიას ტრფობა, რაც უნდა ითქვას, - ხომ დალატია!
 მეგობრის გმობა, უფრო და უფრო - ხომ დალატია!
 რომელიც ძალა მე აქამდინ ფიცს მადებინებდა,
 ახლა მადგია, რომ სამნაირად გამატეხინოს!
 ის სიყვარული მაიძულებდა ფიცით აღთქმასა;
 ეს სიყვარული მაიძულებს მე იმისს გატეხას.
 ოჰ! განუცდელი ტრფობისა გრძნობავ! თუ შემცოდველ მქმენ,
 შენვე მამხილე, შენს მმონებელსა, რითი გავმართლდე!
 მე ჯერ ვეტრფოდი მოკამკამესა ერთსა ვარსკვლავსა,
 და ახლა ვეტრფი ცხოველ-ყოფელსა მხესა მნათობსა.
 მაგრამ მაინც რა? უანგარიშოდ ფიცის დადებას
 თუ დაუფიქრდით, რატომ იქნება, რომ ვეღარ გატყდეს?
 უგუნურია, ვინც ვერ გაბედავს, რომ ცუდი რამე
 სამჯობინარით გამოიცვალოს! - ტფუ, ჩემო ენავ!
 როგორ წარმოსთქვი, რომ ცუდი იყოს, რომლისაც ქებით
 არა ჰსცხრებოდი და სულ ჰფიცავდი, რომ უკეთესი
 არ იქნებო!!! როგორ იქნება, რომ საყვარელზედ
 ხელი ავიღო! მაგრამ ვიღებ კი! მერე სად ვიღებ?
 სადაც ვალია, უფრო მიყვარდეს!! ვუშვებ ჯულიას,
 და ვალენტინსაც! - მაგრამ, ვიკითხო, შეიძლებაა,
 რომ არ გაუშვა? მაშ, ჩემი თავი უნდა განვსწირო.
 და თუ გაუშვი, ამ ვალენტინის სამაგიეროდ
 თვითან მე ვრჩები; ჯულიას ნაცვლად - სილვია მრჩება.
 მე ჩემი თავი უნდა მერჩივნოს, ამ მიზეზით, რომ
 თავ-მოყვარება სჭირს სიყვარულსა; და სილვია ხომ,
 ეს ღმერთმა იცის, რომელმაც შეჰქმნა აგრე მშვენებლად,
 არაბის ქალად გარდააქცია ჩემი ჯულია!
 ჩემი ჯულია ცოცხალი თუა, სულ აღარ მახსოვს.
 იმისი ტრფობა აღარა ჰსცოცხლებს ახლა ჩემს გულში.
 ვალენტინისა რაღა უნდა ვჰსთქვა, - მტერია ჩემი;
 და მეგობარი, ყოვლად მვირფასი, არის სილვია.
 მაშასადამე, ასე გამოდის, რომ მე უნდა ვჰგმო
 ან ჩემი თავი, ან მეგობრობა ვალენტინისა.
 ამაღამ ბაწრის კიბით აპირებს ფანჯრიდამ შესვლას
 სილვიას სახლში, - და მე გამიტყდა, თავისს რაყიფსა,
 რომ გზის გადგომას განვიზრახავთო. განრისხებული

დუკი განაგდებს ხომ ვალენტინსა - თურიოსათვის
უნდა სილვია; და რა ვალენტინს ჩამოვიცილებ,
იმის სულელი რაყიფის გაცლა რაღა მნელია!
ოჰ! სიყვარულო! მომასხი ფრთები, რომ ეს განზრახვა,
შენისვე ძალით შეგონებული, დაუყოვნებლად
შესრულებულ-ვჰყო!

სცენა 7. ვერონა. ოთახი ჯულიას სახლში
შემოვლენ ჯულია და ლუჩეტა

ჯულია
მიშველე რამე, მირჩიე რამე, ჩემო ლუჩეტა,
თუ რომ გიყვარდე! ჩემი ამბავი ხომ კარგათ იცი,
შენგან ფარული მე არა მაქვს რა, და როგორც წიგნში,
ისე კითხულობ ყოველს ჩემს ფიქრსა,
ყოველს ჩემს გრძნობას; მითხარი ერთი, გზას დამაყენე,
რა როგორა ვქმნა, რომ კადნიერად დაუახლოვდე
ჩემს გულის მფლობელს, ჩემს პროტეოსსა?

ლუჩეტა
ეჰ! შორე გზაა! და სად შეიძლებო!

ჯულია
მართლ-მორწმუნენი რომ სალოცავად მიდიან ხოლმე,
რამდენს ქვეყანას შემოივლიან თავის ფეხითა;
და ვისაც ტრფობა აფრენს, ის რატომ ვერ შესძლებს
იმდენს, მეტადრე, თუ რომ იმისი სატრფო არის ისეთი
ყოვლითურთ სრული და სანატრელი, როგორც პროტეოს?

ლუჩეტა
მოცდა ჰსჯობია, რომ პროტეოსი თითონ მოვიდეს.

ჯულია
თითქო არ იცი, ჩემო ლუჩეტა, რომ ამ გულისთვის
სიცოცხლის წყარო არა არის რა, თუ არ იმისი
მოუწყვეტელი თვალებში ცქერა. ამითი მაინც
შემიბრალე, რომ ამდენს ხანს ჰშია ჩემს სულს ეს საზრდო!
შენ რომ იცოდე, რა უფლება აქვს ტრფიალებასა,
მაგას კი არა, ამას იტყოდი, თოვლით იქნება
დაენტოს ცეცხლი, - და სიყვარულის სიტყვით გაქრობა
კი არასოდეს არ იქნებაო.

ლუჩეტა
მე სულ ფიქრათაც არა მქონია გაქრობა თქვენის
სიყვარულისა. ცოტათ როგორმე შემცირება კი
კარგი იქნება; თორემ გადივლის გონიერების
წრესა და მაშინ?

ჯულია

რამდენსაც კი შენ იმის დამცრობას მოიწადინებ,
იმდენათ უფრო განძლიერდება, ხომ კარგათ იცი;
პატარა წყარო რომ დააგუბონ, ისიც გადივლის
და თუ გაუშვებს, წკრიალ-ჩქრიალით ივლის თავისთვის
სიძს კენჭებზედა და უაღერსებს, თავის გზის მდენი,
რაც შემოჰხვდება, ქვასა, მდელოსა, და ასე გარბის
განუსაზღვრებელს ოკეანემდის. -

მამ მეც გამიშვი, ნუ დამაბრკოლებ; ისე მომთმენი
ვიქნები მეცა, როგორც ის წყარო; ხალისით ვივლი,
დაუცხრომელად და რომ მივაწევ ჩემ საყვარელთან,
იქ დავისვენებ, როგორც სამოთხეს მართალთა სულნი
განისვენებენ.

ლუჩეტა

ეგ დიად კარგი; მაგრამ ეს ბძანეთ
მაგ მგზავრობაში ტანისამოსი რა უნდა გეცვათ?

ჯულია

ქალური არა! კაცებისაგან თავხედობას მე
უნდა ვერიდო. მამ ერთი კარგი ბიჭური რამე
ტანთ ჩასაცმელი შენ მომიხერხე, ჩემო ლუჩეტა!

ლუჩეტა

თქვენი გრძელი თმა უნდა შეიჭრათ?

ჯულია

რათა? ზონრებით ისე შევიკრავ, რომ ვერ მიმიხვდნენ,
ქალი არისო.

ლუჩეტა

ქვემ ჩასაცმელსა? როგორს ინებებთ?

ჯულია

ეგ ამასა ჰგავს, რომ კაცსა ჰკითხონ, ქვედა ტანისთვის
რამდენი განი მოგინდებაო. მე ამ საქმეში
შენ მოგენდობი, ჩემო ლუჩეტა! რასაც შენ არჩევ,
იმის უკეთესს მე ვერასოდეს ვერ მოვახერხებ.
ყველა იქნება მოსახდენი და შესაფერიც.
ახლა ეს მითხარ, ამ ჩემს მგზავრობას რომ შეიტყობენ,
რას იტყვიან, ჰა? ვაჰ თუ დამძრახონ!

ლუჩეტა

მამ დამძრახვისა თუ გეშინიათ, შინვე იყავით.

ჯულია

ეგ არ იქნება.

ლუჩეტა

მამ დაძრახვისას ნულარ რას იტყვით და შეუდექით
თქვენს მგზავრობასა. თუ რომ პროტეოსს ესამოვნა,
სხვების ლაპარაკს თქვენ რაღას დასდევთ?
მაგრამ, ვაი თუ იმას ეწყინოს?

ჯულია

ეგ როგორა სთქვი? მაგისი ფიქრი მე სულ არა მაქვს.
ათასი ფიცი, ცრემლით ტირილი, რამდენ ნაირი
დამოწმება მაქვს მე იმისგან სამარადისო
სიყვარულისა! როგორ იქნება, რომ არ იამოს?

ლუჩეტა

ეგ რაცა ბძანეთ, ცბიერებითაც მოჰხდება ხოლმე.

ჯულია

ცუდ კაცობითა, - დიახ მოჰხდება. მაგრამ პროტეოსს
ისეთს რამ ეტლზედ დაბადებულა, რომ იმის სიტყვა
დაპირებაა; იმისი ფიცი - ღვთიური აღთქმა;
იმისი ტრფობა - გულის სიმტკიცე; იმისი ფიქრი -
სულის სიწმინდე; - იმისი ცრემლი - სულის და გულის
მოენება, და იმის გრძნობა ისე შორს არის
სიცრუისაგან, როგორც ვა არის ქვეყანისაგან.

ლუჩეტა

ღმერთმა ინებოს, რომ აგრე იყოს.

ჯულია

არა, ლუჩეტა! მე თუ გიყვარდე, ნუ ჰკადრებ იმას
ნუ რას ეჭვებსა; და თუ გინდა რომ გულით მიყვარდე,
ისიც გიყვარდეს! - მამ ჩემს ოთახში შევიდეთ ახლა
და სულ ავწეროთ, რაც საჭიროა მგზავრობისათვის.
ჩემს საცხოვრებელს სულ შენ მოგანდობ: სახლსაც, მამულსაც,
და ჩემს სახელსაც; - შენგან ამის მეტს სხვას არას ვითხოვ, -
რომ მომამზადო, გზას დამაყენო, ისე საჩქაროდ,
როგორც შეგეძლოს. - გათავდა ახლა; ნულარას მეტყვი.
მე ამდენის ხნის დაგვიანებაც საწუხრათა მაქვს.
(გავლენ)

მოქმედება მესამე

სცენა 1. ოთახი დუკის სასახლეში
შემოვლენ დუკი, თურიო და პროტეოს

დუკი

სინიორ თურიო! გთხოვთ პატარა ხანს გარეთ გახვიდეთ;
ჩვენ საიდუმლო საქმე გვაქვს აქა. ერთათ სარჩევი.
(თურიო გავა)
ახლა, პროტეოს! მითხარით რა გაქვთ ჩემთან სათქმელი?

პროტეოს

თქვენო უგანათლებულესობავ! რისიც გამხელა
მწადს მე თქვენთანა, მეგობრობითი კანონი მაწევს,
რომ სულ დავჰვარო. მაგრამ რაც რომ მე თქვენი წყალობა
მომაგონდება და ყურადღება ჩემ-უღირსზედა, არ შემიძლია
არ მოგახსენოთ ისეთი საქმე, რომ იმის თქმასა
მრთელს ქვეყანაზედ სხვა ვერაფერი მაიძულებდა.
ასე იცოდეთ, ბატონო დუკო! რომ ვალენტინი
ჰფიქრობს ამაღამ ქალი მოგტაცოთ; ამ განზრახვაზედ
თვით მე გამიტყდა. - მე კარგად ვიცი, რომ თქვენა გნებავთ
თურიოს მისცეთ, ქალს კი თუმცა ჰსძულს; და ესეც ვიცი,
რომ მოტაცება თქვენის ქალისა გულს დაგიჩაგრავთ.
ამ მიზეზით მე ვარჩიე, ჩემის მოვალეობით,
შეგატყობინოთ, რომ ჩაეშალოს მეგობარს აზრი,
ოღონდ თქვენთვის კი ამის უეცრად გაგონებაი
არ გარდაიქვს მიზეზად, თქვენის ხნიერებისა
შემმოკლებელად და უდროობით საფლავს დამყვანად.

დუკი

გმადლობ, პროტეოს, შენის კეთილის მზრუნველობისთვის.
სამაგიეროდ - ჩემს სიცოცხლეში შენდა საკუთრად
გეგულებოდე. უნდა გაგიტყდე, რომ მეც ვამჩნევდი
იმათ ტრფობასა, თუმცა ეგონათ, რომ ვერ ვამჩნევდი.
ბევრჯელ კიდევაც განვიზრახე, რომ სულ დამეთხოვნა
ვალენტინი ამ სასახლიდამაც, და ქალისგანაც; -
მაგრამ ვამბობდი, ვაი თუ ჩემის დაუხედავის
იჭვენულებით უბრალო სული დავსაჯო მეთქი, -
და ჩუმათ ვიყავ. ისევ ისეთის ყურადღებითა
და მოწყალებით ვეკიდებოდი ვალენტინს, ეგებ
ამითი უფრო კარგად შემეტყო, რაც რომ ახლა შენ
მე ამიხსენი. დასამოწმებლად, რომ ფრთხილად ვიყავ, -
რადგან ვიცი, რომ სიყმაწვილეში დიად ადვილად
ჰსცდებიან ხოლმე, - ამას მოვიყვან, რომ მე სილვია
დიდ-მაღალს კოშკში დავაბინავე და გასაღები
თან დამაქვს ხოლმე. იქიდან აგრე ვერ მომტაცებენ,
როგორც ჰგონიათ.

პროტეოს

მაშ მოიხსენეთ, ბატონო დუკო! რომ კოშკში შესვლა არ უჭირდება; ბაწრის კიბე აქვს, იმითი ავა და ჩამოიყვანს; კიბეც მზათა აქვს; ეხლა წავიდა მოსატანათა; უეჭველია აქ გამოივლის და თუ ინებებთ, კარგათ შეიძლებთ, აქვე უნახოთ. მაგრამ, ბატონო! ერთს გევედრებით: ასე ინებეთ, - რომ ჩემზედ ეჭვი არ იქონიოს აქ ვალენტინმა. მოგახსენეთ, რომ იმისი შეთქმა გამოგიცხადეთ საკუთრად თქვენის ერთგულებითა, და არა იმის სიმულვილითა, რომ სათნო ქალი ვედარ მოგტაცოს.

დუკი

მაგას ნუ სწუხარ! ფიცით აღვითქვამ, რომ თავის დღეში სულ ვერ აიღოს ეჭვი შენზედა.

პროტეოს

აგერ აქ მოდის! - მე გეთხოვებით.
(გავა; შემოვა ვალენტინ)

დუკი

სად მიაშურებ აგრე საჩქაროდ, ჩემო ვალენტინ?

ვალენტინ

ოჰ! უკაცრავად, ჩემო ბატონო! წიგნები მიმაქვს შინ გასაგზავნი. წამსვლელი მიცდის და ვემშურები.

დუკი

ეგ წიგნები კი საჭირო არის?

ვალენტინ

მე ვატყობინებ შინაურებსა, რომ კარგათა ვარ, თქვენის წყალობით უხვად აღვსილი და ბედნიერი.

დუკი

ეგ არაფერი! მაშ თუ აგრეა, ნება მომეცი ცოტას რასმე ხანს აქ შეგაყენო. საქმე მაქვს ერთი და დიდად მინდა, რომ რჩევა გკითხო. ჩვენში კი დარჩეს, და შენც ხომ იცი, ჩემის მეგობრის თურქოსათვის მინდოდა ჩემი ქალი მიმეცა.

ვალენტინ

დიაღ, ბატონო! როგორ არ ვიცი! თურქო არის დიაღ მდიდარი, პატივცემული, კარგის გვარისა; კარგის გულისა, ყოვლითურთ სრული, რომ თქვენს მშვენიერს ქალს შეჰფერობდეს. დავიჯერო, რომ თქვენ თქვენი ქალი ვერ დაითანხმობთ, რომ ქმრად ინებოს?

დუკი

საქმეც ეგ არის, ჩემო ვალენტინ, რომ ვერ ვითანხმე.
თავისნებაა, შეუპოვარი, ამპარტავანი,
დაჟინებული. შვილი თუ ვარო, ამას არ ჰფიქრობს;
ადარც ეს ახსოვს, მამის უფლებით თუ შემძლია,
რომ ჩემს ნებაზე დავიყოლიო. გული მომიკლა
თავის ურჩობით. მე რომ მეგონა, ჩემს სიბერეში
ჩემი ნუგეში, მაცოცხლებელი ის იქნებოდა,
სრულად მიმელო მე ეს იმედი და ახლა ვამბობ,
ჰსჯობდეს მგონია ცოლი ვითხოვო. იმას რადგანაც
არც მე უნდევარ და არცარა სხვა ჩემი შეძლება, -
მე რაღას დავდევ, როგორც ერჩიოს, ისე გათხოვდეს, -
მარტო თავისის სილამაზითა და ჩემის მხრით კი
ყოვლად უმზითვოდ.

ვალენტინ

მე როგორ უნდა, აქ გამოგადგეთ ჩემო ბატონო?

დუკი

მე გეტყვი როგორ! ამ ჩვენს მილანში ერთს ქალს ვიცნობ მე
და დიდად მომწონს; მაგრამ, ვსწუხვარ, რომ გულგრილი არის
და მეტის მეტად შეუფნებელი; არა იქნა რა,
ვერ ვაგრძნობინე ჩემი სურვილი, ვერ დავითანხმე
და შენ იმისთვის მოგატანე მე, რომ მომეხმარო,
(დიდი ხანია, რაც მე ქალების არშიყობასა
როგორ რა უნდა, არა ვიცი რა, და რაც ვიცოდი,
ახლანდელს დროში რაღას ივარგებს) და შენ მითხარი,
რა მოვუხერხო, ტრფიალის თვალით რომ გადმოხედოს?

ვალენტინ

თუ თქვენი სიტყვა არ შეისმინა, საჩუქრით ჰსცადეთ.
ხშირად მოხდება, რომ ქალის გული თვალ-მარგალიტმა
უფრო მოიგოს, მინამ ცხოველმა მჭევრ-მეტყველებამ.

დუკი

ეგეცა ვჰსცადე; მაგრამ არ იქნა, სულ არ მიიღო.

ვალენტინ

ეგეც მოხდება, რომ ზოგმა ქალმა ის საჩუქარი
არ გამოგართვას, რომელიც გულით კი დიდათ ჰსურდეს.
სხვა გაუგზავნეთ, ნუ მოეშვებით. პირველ ნათქვამი
უარის ყოფა, შემდგომში უფრო განამლიერებს
ტრფიალებასა. ქალი თუ ჯავრობს, კი არ იფიქროთ,
რომ სძულდეთ თქვენა; - იმას ის უნდა, რომ სიყვარული
უფრო და უფრო განგიცხოველდეთ. თუ იგინება,
ეს არ იფიქროთ, რომ მოცილება უნდოდეს თქვენი, -
არ გაუგონოთ, თორემ მართლათაც განგირისხდებათ.
რაც უნდა გითხრათ, ნუ შეწუხდებით. წადი იქითა;
რომ გითხრათ კიდევ, ჯერ ხომ არ ამბობს - გამეცალეო.

უალერსებდეთ; ქებას უთხზავდეთ; მშვენიერებას
აღუმატებდეთ; ბნელს ღამეზედაც რომ შავი იყოს, -
მაინც ეტყოდეთ, დღესა სჯობხარ თქო! ვისაც ენა აქვს,
რა კაცი არის, თუ კი რომ ქალსაც ვერ დაითანხმებს.

დუკი

მე რომ ქალს ვამბობ, ნათესავები ერთ კაცს აძლევენ,
ყმაწვილს, მდიდარსა, კეთილშობილსა, და შინ ისე ჰყავთ
გამოკეტილი, რომ მრთელ-დღეს წამსაც ვერ მოვახელებ,
რომ ხმა გამომცეს.

ვალენტინ

მე თქვენი ვიყო, ღამით ვნახავდი.

დუკი

ეგ დიად კარგი, მაგრამ კარების გასაღებები
თან დააქვთ ხოლმე, რომ სულ ვერავინ შეუვიდესო.

ვალენტინ

ფანჯრიდამ შესვლას ვინლა დაგიშლისთ?

დუკი

მეტად მაღლაა; კედლებიც ისე გალესილია,
რომ კაცი უფრო კისერს მოიტეხს, მანამ ზედ შესვლას
მოახერხებდეს.

ვალენტინ

კარგი მაგარი ბაწრის კიბითა და ორი ჩანგლით,
როგორ იქნება, რომ არ მოხერხდეს, თუ კი გაბედავთ!

დუკი

მართლა, ვალენტინ! ეგ აზრი მომწონს; ახლა ეს მითხარ,
ეგ ბაწრის კიბე როგორ ვიშოვო?

ვალენტინ

თქვენ ეს მიბმანეთ, როდისა გნებავთ?

დუკი

ახლავ, ამაღამ. სიყვარული ხომ, შენც კარგათ იცი,
ყმაწვილივითა რასაც მისწვდება, ხელსაცა ჰსტაცებს.

ვალენტინ

ამ ერთს საათზედ გიშოვით კიბეს.

დუკი

ესეც უნდა ვჰსთქვათ: ხომ მართო წავალ და ვინ მომიტანს
იქ მაგ კიბესა?

ვალენტინ

კიბე ისეთი მსუბუქი გახლავთ, რომ შეიძლება
თქვენვე წაიღოთ, წამოსასხმელქვეშ რომ იქონიოთ.

დუკი

ეგ რომ გასხია, მაგისტანა ხომ კარგათ ივარგებს?

ვალენტინ

დიალ კარგათა!

დუკი

მამ აბა ერთი ეგ გამაშინჯე, რომ მაგისტანა მეც მოვიმზადო.

ვალენტინ

მაგ საქმისათვის ყველა ივარგებს.

დუკი

ჯერ ეგა ვკვინჯოთ, რა გენაღვლება.

(მოხდის და ვალენტინს წიგნი გავარდება)

ეგ რა წიგნია? ერთი უყურეთ: სილვიასაო!

ილლიაშიაც სწორეთ ის კიბე, როგორსაც ვეძებ!

ახლა კი იმდენს ვიკადნიერებ, რომ ამ წიგნს გავჭხსნი.

(კითხულობს)

„ჩემი ფიქრები ღამეს ათევენ ჩემს სილვიასთან;

მე რატომღა ვერ მოვახერხებდე იმათთან შესვლას?

შენ განუსვენებ მსახურთა ამათ შენს სპეტაკს მკერდზედ, -

და მე კი ვკვრულავ, ჩემმაგიერად რომ ნეტარებენ!

ბედსაც ვიწყევლო, რომ ფიქრებს ვკვზავნი, სადაც თვით მე მსურს

ვიმყოფებოდე!..“ ეს რაღა არის? - „ჩემო სილვია!

მე გამოგობსნი შენ ამავე ღამეს“ - ჰო! ესეც კიბე!

ეჰე! თავხედო! კარგათა ჰბედავ! რა რომ ვარსკვლავნი

შენც დაგნათიან, ცას გინდა შექსწვდე? გაეთრი გარეთ,

ბოროტო სულო, ამბოხო მონავ! შენი ტოლობა

სადაცა ჰპოვო, იქ იმაცთურე შენის ღიმილით!..

თუ დაუსჯელად გახვედ აქედამ, ჩემს მოთმინებას

დაუმადლიდე და არა სხვასა ჩემს წყალობასა,

რომელიც გაქვდა უღირსსა, ფლიდსა! და თუ რომ შენ აქ,

რაც საჭიროა, იმაზედ მეტი დაიგვიანე,

ღმერთს გამლევ მოწმად, რომ ჩემი რისხვა იმ სიყვარულსაც

გარდაემატოს, რომლისაც ღირსად ჩემს ქალსა ვხადდი! -

შენს გამართლებას ყური ვათხოვო, ნუ განიზრახავ.

სიცოცხლე თუ გწადს, ნულარ აყოვნებ.

(დუკი გავა)

ვალენტინ

ამას სიკვდილი რატომ არა სჯობს?! სიკვდილი არის

ხელის აღება თავის თავზედა; და ჩემი თავი

არის სილვია, რომელიც მე ვარ. იმას მოვკვდორდე, -

სიკვდილით მოვკვდე, - ეს არის, სხვა რა ჩემი გაგდება

ამ სახლიდამა. ჩემთვის სინათლე სადღა იქნება,
 სადაც სილვიას ველარა ვნახავ? ჩემთვის ნუგეში
 რაღა იქნება, სადაც სილვია არ მეგულება
 და სადაც უნდა უსაგნო ლანდად ვიარებოდე?!
 ღამით თუ იმას ველარა ვნახავ, რაღას ვნახავ?
 დღისით თუ იმას ველარ შევვხვებოდე, რაღას შევვხვებოდე?
 ჩემი სიცოცხლე სილვია არის. თუ ის არა მზრდის,
 ის არ მინათებს, ის არ მაცოცხლებს, რაღამ მაცოცხლოს?
 დუკის სამართალს ცოცხალის თავით თუ გადავურჩი, -
 რა სიცოცხლეა? მკვდარი ვარ მაინც! და თუ გავვქეც,
 რას გავვქეცევი? სიკვდილს კი არა, სიცოცხლეს ისევ!
 (შემოვლენ პროტეოს და ლაუნსი)

პროტეოს
 როგორც შეგეძლოს, ისე ირბინე! ეგების შეჭვხვდე სადმე იმასა.

ლაუნსი
 აგერ! შენ ეი!

პროტეოს
 ვინ ნახე მანდა?

ლაუნსი
 ვისაც ჩვენ ვეძებთ; არ აბადია არც ერთი ბეწვი, რომ ვალენტინი არ ეთქმოდეს.

პროტეოს
 ვალენტინ! შენა?

ვალენტინ
 არა!

პროტეოს
 იმისი ლანდი?

ვალენტინ
 არა.

პროტეოს
 მაშ, ვინა ხარ, რა ხარ?

ვალენტინ
 არაფერი.

ლაუნსი
 არაფერიო და ხმას კი იღებს! ბატონო, მოდი - დაურთოთ ერთი.

პროტეოს
 ვისა?

ლაუნსი
ამ არაფერსა.

პროტეოს
ჩუმათ სულელო!

ლაუნსი
არაფერია, ხომ გაიგონეთ, არაფერია!

პროტეოს
გეუბნებიან, აღარ გაბედო! ჩემო ვალენტინ! სიტყვა მაქვს ერთი...

ვალენტინ
მე ცუდის ამბით ყური ისე მაქვს გამოჭედილი, რომ კარგს სიტყვასაც ვერ გავიგონებ.

პროტეოს
მაშ, გავჩუმიდები: ჩემი სათქმელი ცუდი რამ არის, დიდად
საწყენი, შესაწუხარი!

ვალენტინ
სილვია მოკვდა?

პროტეოს
არა, ვალენტინ!

ვალენტინ
მაგრამ, ჰო, მართლა! ვალენტინი ხომ აღარსად არის
იმ ზეციერის სილვიასათვის! მაშ - მიღალატა?

პროტეოს
არა, ვალენტინ!

ვალენტინ
ვალენტინ, გითხარ, აღარსად არის, სილვიამ იმას თუ უღალატა.
რა ამბავი გაქვს ჩემთვის სათქმელი?

ლაუნსი
თქვენი გაგდება გამოაცხადეს, ჩემო ბატონო.

პროტეოს
შენი განდევნა ამ ქვეყნიდანა, სილვიასაგან
და ჩემ-შენისა მეგობრისაგან.

ვალენტინ
კარგათ გამამლო მე მაგ ამბავმა; ახლაკი კმარა,
ჩემი გაგდება იცის სილვიამ?

პროტეოს
როგორ არ იცის; შესწირა კიდევ თავისი მსხვერპლი

განუკითხავს ამ განჩინებას. ზღვა დააქცია
 მარგალიტისა, რომელსაც ეთქმის ცხარე ცრემლიო.
 ამო იყო, უწყალოს მამას რომ შესტიროდა
 მუხლმოდრეკილი და მკრთალის ხელით გულში იცემდა,
 არც მუხლთ მოდრეკა, არც ხელთ აპყრობა, არცა გოდება,
 შეუბრალებელს იმის მამასთან არა გაჰხდა რა.
 „ვალენტინს მოჰკვლენ, თუ მოასწრესო!“ არათუ ესა, -
 ქალის ვედრებით ისე განრისხდა იმის მშობელი,
 რომ საპყრობილეს ჩაასმევინა და დაემუქრა,
 სამარადისოდ მანდ იქნებო.

ვალენტინ

აღარა ჰსთქვა რა, თუ რომ სათქმელმა მაშინვე სული
 ვერ ამომართვა; და თუ მომკვლელი სიტყვა გაქვს რამე,
 რაღას უყურებ, დამიტკბე ყური, მომეცი კილო
 უკუნითადის მწუხარებისა.

პროტეოს

მაგგვარი შენი სულ-მოკლეობა რის მაქნისია, -
 სადაც რომ საქმეს ვერრას უშველის! ის არა ჰსჯობს, რომ
 არჩიო, საქმეს რა მოევლება. ყოვლის სიკეთის
 დედა და მზრდელი - დრო არის მხოლოდ; და ტრფობის კვერთხი
 სასოებაა; ამ ორივეთი ხელი შეიწყე
 და გზას დაადეგ! ვჰთქვათ, სხვაგანა ხარ. მიწერ-მოწერით
 აქვე იქნები! მე მიგზავნიდე და მე გადავსცემ
 დაუყოვნებლად შენს საყვარელსა.
 ლაპარაკისთვის დრო აღარა გვაქვს; წავიდეთ ახლა!
 გარეთ კარამდინ მე გამოგყვები. გზაზე ვთქვათ ყველა
 შენს სიყვარულზედ რაც კი რამ ითქმის.
 თუ არა შენთვის, სილვიასათვის მაინც განშორდი
 ამ განსაცდელსა.

ვალენტინ

ლაუნს! ეგების ჩემი მსახური შემოგხვდეს სადმე,
 უთხარ, მაშინვე იქ მომამუროს, გარეთ კარებთან; -
 ცოტას მოუცდი.

პროტეოს

ეხლავ მოძებნე! ჩვენ კი წავიდეთ, ჩემო ვალენტინ!

ვალენტინ

სილვია! ვაი, შენს ვალენტინსა.
 (გავლენ)

ლაუნს

უნდა მოგახსენოთ, სულელს მეძახიან, მართალია, მაგრამ იმდენს კი მივჰხვდი, რომ ეს ჩემი ბატონი
 მეტის მეტი რაღაც რამ გაქნილი ყოფილა; და ეს ხომ სულ ერთია, თუნდ რომ სიფლიდეც
 შემეწამებინოს. ჩემსას კი გაბედვით ვიტყვი, ჯერ კაცი არ დაბადებულა, ჩემი თქვას, ამას მე ვიცი,
 უყვარს ვინმეო! აბა, თუ კაცია და იტყვის ვინმე! - მიყვარს კი; მაგრამ ვინ მიყვარს, ამას ღვედითაც

ვერავინ გაიტანს ჩემგანა. ვერცა რა ვინ იმისს სახელს მათქმევინებს, ვინც მიყვარს. ჩემი საყვარელი დედაკაცია, ვთქვათ; მაგრამ როგორი? ამას ჩემს თავსაც ვერ გაუტყდები. რატომ? იმიტომ, რომ ჯერ ისევ გოგო არის; გაუთხოვარია, მართალია, მაგრამ ნათლობა კი გადახდილი აქვს; მაინც კი გოგოა ისევე, ამიტომ რომ გოგოთ არის ერთ ოჯახში და ჯამაგირს იღებს. ღირსებას თუ იტყვით, ერთ კარგ მემებარზედ უფრო მეტი ღირსება აქვს, და საწყალის ქრისტიანის სულისაგან, მოგეხსენებათ, ეს ბევრიც არის. (ქაღალდს ამოიღებს) აი, აქ არის ყველა იმისი ღირსება ანუსხული, თავდაპირველათ - შეუძლია იშოვოს კიდევცა და კიდევც შეიძინოსო. ღმერთს ენდე, ამაზე მეტი ცხენსაც არ შეუძლია; მაგრამ ცხენი რა სათქმელია? ჯერ ერთი ესა, რომ ცხენს შოვნა სულაც არ შეუძლია. მამ რაღა ჩიჩინი უნდა, ერთ კარგ ჩათლახს ბევრითა სჯობნება! მერე - მოწველა შეუძლიაო! ხუმრობაა? გოგოსთვის ძალიან ღირსებაა, მეტადრე, თუ ხელებიც სუფთათა აქვს.
(შემოვა მარდი)

მარდი

რას იტყვი ახალს, სინიორ ლაუნს? ახალი რა იცის შენმა უფლებამ?

ლაუნს

ჩემმა უფლებამ? ვინ მამცა მერე ეგ უფლებაი?

მარდი

ძველ ჩვეულებაზედ კიდევ არ იღებ ხელსა, რომ კაცს მაშინვე პირში ეტაკები ხოლმე, განა? მაგ ქაღალდში მაინც რა არის ახალი.

ლაუნს

ისეთი შავი რამ არის, რომ შენს სიცოცხლეშიაც არ გაგეგონოს.

მარდი

როგორ თუ შავი?

ლაუნს

როგორც მელანი.

მარდი

აბა, მაჩვენე, წავიკითხო!

ლაუნს

წიგნი რა იცი მერე, რო წავიკითხო.

მარდი

რას ამბობ, წიგნი როგორ არ ვიცი.

ლაუნს

აბა, ვნახავ, თუ იცი: ჯერ ერთი მითხარი, შენ ვინ ჩაგსახა?

მარდი

ვინ ჩამსახა და - პაპის ჩემის შვილმა.

ლაუნს

აბა, რა გკითხო, წიგნი ვიციო, დაგიჟინია. პაპისშენის შვილმა კი არ ჩაგსახა, ბებიაშენის შვილმა ჩაგსახა! რაღა თქმა უნდა, რო წიგნი არა გცოდნია.

მარდი

შენ ეგ ქაღალდი მაჩვენე აქა და ნახავ, მცოდნია თუ არა.

ლაუნს

აჰა, ვნახოთ ერთი, როგორ რას ამოიკითხამ.

მარდი

თავდაპირველათ - მოწველა შეუძლია.

ლაუნს

ეგ რა? დიად შეუძლია.

მარდი

მერე - ლუდს აკეთებს კარგათა.

ლაუნს

კიდევ მაგიტომ იტყვიან: თუ გინდ თაროზე დამსვიო, ოღონდ კი ლუდი მასვიო.

მარდი

მერე - ჰკერამს.

ლაუნს

მაშ, დაკერებაც ეცოდინება.

მარდი

მერე - ჰქსოვს.

ლაუნს

შინ ფეხშიშველა არავინ დარჩება.

მარდი

მერე - რეცხვა და დაჯანდვრა იცის.

ლაუნს

რასაც არ გარეცხს, დაჰჯანდრავს მაინცა.

მარდი

მერე - ჯარაზე დართვა იცის.

ლაუნს

ართე, ართე, ჩემო ჯარა, ჩემო ჯარის ტარო.

მარდი

მერე - სხვა ბევრი უსახელო ღირსება აქვს.

ლაუნს

უსახელო! ვითამ უკანონო და უგვარო. თავანკარი საიდამ იქნება.

მარდი
ახლა იმისი ნაკლულევანება.

ლაუნს
ღირსებას კვალში უდგია, რაღა თქმა უნდა.

მარდი
თავდაპირველათ - უზმოდ იმისი კოცნა არ ვარგა, პირი უყარს.

ლაუნს
მაგისი წამალი საუზმე და იმისი ჯანი! მერე?

მარდი
მერე - გაუმადლარი არის.

ლაუნს
მამ რას მიჰქარვენ. პირის სიმყრალეს რაკი თითონვე იქარვენს, რაღას ემართლებიან!

მარდი
მერე - ძილში ლაპარაკი იცის.

ლაუნს
ლაპარაკში არ იცოდეს ძილი, თორემ მაგითი რა უშავს!

მარდი
მერე - ლაპარაკი ეზარება.

ლაუნს
ამისთანა სისულელეც გაგიგონიათ? ჩუმად ყოფნა უყვარსო, თითქო დანაშაულს ეწამებოდნენ რასმე. დედაკაცისათვის მაგაზე უკეთესი ღირსება რაღა იქნება, რასა ლაყბობენ! წაშალე მანდა და ზევით ჩაწერე, იმის ქებაში.

მარდი
მერე - ცოდვილობა უყვარს.

ლაუნს
ეგეც წაშალე. დედაკაცი ისეა დაბადებული, რომ თავის დღენი უნდა იცოდვილოს და მაგას რა მოაშლევინებს?

მარდი
მერე - უკბილო არის.

ლაუნს
ეგ უკეთესი; ქერქი მე მიყვარს.

მარდი
მერე - სიკაპასე ჰსჭირს.

ლაუნს

უკბილო თუა, მაგითი რა უშავს! კბილით ხომ ვერავის ჩაა-ფრინდება და სხვას რასა იქს!

მარდი

მერე - ღვინის ქება უყვარს.

ლაუნს

ნეტა რა ვქნა! კარგი თუა, რატომ არ აქოს? მე ვაქებ, თუ იმან არ აქო; კარგი ყოველთვის უნდა აქოს კაცმა; მაშ როგორ იქნება!

მარდი

მერე - აყოლა იცის.

ლაუნს

ლაპარაკში ვერავის აპყვება; ზევითა ჰსწერია, ლაპარაკი ეზარებაო; - ფულის ხარჯვაში ვერავის აპყვება, - ქისას მე ჩავიდებ ჯიბეში. სხვა რა? დაყოლა თუ იცის, მაგას ვერა მოაშლევინებს რა? მერე?

მარდი

მერე - თმა უფრო ბევრი აქვს ჭკუაზედა; ნაკლებობა უფრო ბევრი აქვს თმაზედა და გულის სიკეთე უფრო მეტი აქვს ნაკლებობაზედა.

ლაუნს

მოიცა, მოიცა! მე ის ჩემთვის მინდა ვითხოვო და რამდენჯერაც მანდ მოვატანე, ხან მიჯდება ჭკუაში, ხან არა; და რას დავადგე არ ვიცი. აბა ერთი კიდევა, როგორაო?

მარდი

თმა უფრო ბევრი აქვს ჭკუაზედა.

ლაუნს

თმა უფრო ბევრი აქვს ჭკუაზედაო? ეგ შეიძლება; - აი რატომ: სამარილის სარქველი ხომ მარილს აფარია! მაშ მარილზე მეტი ყოფილა. თმაც ჭკუას აფარია, მაშ მეტი ყოფილა ჭკუაზედა. ამას რა თქმა უნდა, რომ მეტი ნაკლებსა ჰფარამს. მერე რაო?

მარდი

მერე - ნაკლებობა უფრო მეტი აქვს თმაზედა.

ლაუნს

ეგ საზარელია! ოჰ! ნეტავი ეგ კი არა ყოფილიყო და სხვა არა მინდოდა რა!

მარდი

და გულის სიკეთე უფრო ბევრი აქვს ნაკლებობაზედა.

ლაუნს

ეგ ხომ ყველა ნაკლებობას აშვენებს. გათავდა! უნდა შევიერთო, და თუ შევიერთე, რადგან შეუძლებელი არა არის რა...

მარდი

მერე?

ლაუნს

მერე და შენი ბატონი რომ გარეთ კარებთან გელის, ამაზე რას იტყვი?

მარდი

მე მელის?

ლაუნს

შენა, ჰო! ვითამ შენ ვინა გდიხარ! სხვა უკეთესს ელოდეს ვისმე, არ ეკადრება თუ?

მარდი

მეც იქ მისვლა მიბძანა?

ლაუნს

ირბინე მეთქი, გეუბნები! შენ ამდენ ხანს ეგდე აქა, რომ იქნება სირბილითაც ვეღარ მოეწიო.

მარდი

მერე რატო აქამდინ არ მითხარი? ჯანაბამდინაც უვლია შენს საარშიყო წიგნებსა!
(გავა)

ლაუნს

აცა, თუ ჩემი წიგნის ღეჭა არ გადაგხდეს! რა გინდოდა? სხვის საქმეში რად ეჩრებოდი! გავჰყვე ერთი, ვნახოთ რა დაემართება!

(გავა)

სცენა 2. სხვა ოთახი დუკის სასახლეში

შემოვლენ დუკი, თურიო და მერე პროტეოს

დუკი

ნუ გეშინიათ, სინიორ თურიო! რადგან ვალენტინ განდევნილია, უეჭველია თქვენ შეგითვისებთ.

თურიო

ის რომ გააგდეთ, მასუკან უფრო ცუდათ მიყურებს; თითქმისა ჯავრობს, როდესაც მხედავს; დასაციწრათაც აღარა მზოგავს. არა მგონია, რომ მე შემირთოს.

დუკი

სიყვარულისგან ცოტა რამ წყენა და ანაზანის ცინულზედ წერა, ორივ ერთია; გათბა და გადნა, წყლად გადაიქცა. ბევრი არ უნდა, რომ მალე გადნეს ჩემი სიღვიას მყინვარებაცა და დაივიწყოს ის სამაგელი, ფლიდი ვალენტინ. აგერ, პროტეოს თქვენ რაღას იტყვით! განშორდა ხომა ამ ქვეყანასა ჩემის ბძანებით თქვენი ვალენტინ?

პროტეოს

დიაღ! გიახლათ, თქვენო უგანათლებულესობავ!

დუკი

იმის გაგებას დიდად თურმე ჰსწუხს ჩემი სილვია.

პროტეოს

მალე გაუვლის ეს მწუხარება და დამშვიდდება.

დუკი

მეც აგრე ვჰფიქრობ; მაგრამ თურიოს ეგ არა სჯერა.
პროტეოს! შენი კეთილი გრძნობა, რომელიც საქმით
დამიმტკიცე მე, იმედს მაძლევს რომ, რასაცა გკითხავ,
კარგს რჩევას მომიცემ.

პროტეოს

მეც გამჰატიჟეთ, თუ წრფელის გულით არ ადვასრულო
ჩემი თქვენ წინა ვალდებულება.

დუკი

დიდად მსურს, იცი, რომ ჩემი ქალი თურიოს მივსცე.

პროტეოს

დიახ, ბატონო!

დუკი

და ესეც იცი, რომ სილვია კი უარზედა დგას
და ჩემს ნებასაც არაფერს დასდევს.

პროტეოს

აქ რომ ვალენტინ ეგულებოდა, ეგ მაშინ გახლდათ.

დუკი

მაშინაც, ახლაც, სულ ისევ ისე უარზედ არის.
რა მოვახერხოთ, რომ ვალენტინზედ აღარ იფიქროს
და ეს თურიო შევართვევინოთ?

პროტეოს

მგონია ჰსჯობდეს, რომ ვალენტინი უმაგოთ ხოლმე;
შესწამოთ იმას - სიცრუე, სიმხდლე, მდაბალ-გვარობა,
ეს სამი ბიწი, ქალებისაგან რომ უფრო მეტად დასაწუნია.

დუკი

მაშინ იფიქრებს, ცილსა ჰსწამებენ, უგონებენო.

პროტეოს

იმის მტრისაგან თუ გაიგონა, უეჭველია.
დიდი სიფრთხილე გმართებთ თქვენ აქა; კაცი გინდათ, რომ
იმის მეგობრად მიაჩნდეს ქალსა.

დუკი

მაშ ისე თქვენვე თუ მოახერხებთ, თორემ სხვა ვინა?

პროტეოს

როგორ? მაშინ ხომ ცილის წამება უნდა ვიხმარო;
ცილის წამება ვიზედა მერე? ჩემს მეგობარზედ!
აზნაურობას ეს არ შეჰშვენის, ჩემო ბატონო!

დუკი

სადაც მეგობარს კეთილი სიტყვა ვერას უშველის,
და ცუდი სიტყვა ვერას დააკლებს, იქ, მე მგონია,
ეს მოხერხება ვერ შეაგინებს თქვენს ღირსებასა.
და ეგეც ვისთვის იქნება თქვენგან? მეგობრისთვისვე!

პროტეოს

სწორეთ დამძლიეთ! სჩანს, რომ მე უნდა ველაპარაკო,
რომ შევამულო! მაგრამ ასე ვჰსთქვათ, მე ვალენტინი
გამოვიყვანე იმის გულიდამ; თურიოს მაგით
ხომ ვერ შეიტრობს?

თურიო

იცით რა ქენით! თქვენ რომ იმათი ტროფობის გორგალი
ხელში გექმნებათ, რასაც იქიდან ძაფს გამოახვევთ, -
სულ რომ არ დაწყდეს, არ დაიკუწოს, მე დამახვიეთ, -
მე დამახვიეთ. თქვენ ხომ ეს სულ არ გაგიჭირდებათ,
რომ მე მაქებდეთ, რამდენსაც იმისს ძაგებას ეტყვი.

დუკი

ჩვენ ამ საქმეში თქვენ მოგენდობით, ჩემო პროტეოს.
ვალენტინისგან ვიცით, რომ თვითან თქვენც ტროფიალი ხართ
და იმედი მაქვს, რომ თქვენს სიყვარულს არ უღალატებთ.
მე ამ მიზეზით დამშვიდებული თქვენ ნებას გაძლევთ,
რომ სილვასთან იართო ხოლმე და თავისუფლად
ილაპარაკოთ. ახლა ჰსწუხს ისა,
მოწყენილია, დაღონებული, და რა თქმა უნდა,
რომ იამება თავის საყვარლის მეგობრის ნახვა.
სხვის უკეთესად თქვენ შეაგონებთ, რომ დაანებოს
ვალენტინს თავი და ჩვენს თურიოს გამოუბრუნდეს.

პროტეოს

რასაც შევიძლებ, დიდად ვეცდები. მაგრამ, თურიო!
თქვენის მხრითაც კი ნურას დაჰზოგავთ. მახე გაუბით
ქალის სურვილსა; ხან დაუმდერეთ, ხან ქება ასხით
და რასაც ეტყვი, წრფელის ფიცითა და წმინდის გულით
დაუმოწმებდეთ, იმისი გრძნობის აღსატაცებლად.

დუკი

ოღონდაც, მართლად, დიდი რამ არის ეს საღმთო ძალი პოეზიისა!

პროტეოს

მისწერდეთ ხოლმე, რომ იმის სრულის შვენებისათვის
მსხვერპლად გიწირავთ სული და გული; მისწერდეთ ხოლმე,

მანამ მელანი გაგიშრებოდეთ და თუ გაგიშრათ, თქვენის ცრემლებით გაჰხსნიდეთ ისევ. და რასაც მისწერთ, ისე მისწერდეთ, რომ ეტყობოდეს, მართალს ამბობსო. ორფეოსი რომ უკრავდა ქნარსა, სიმები ჰქონდა პოეტებისა და ამით იყო, ქვასა და რკინას რომ არბილებდა, - ვეფხვსა და ფოცხვერს რომ ამშვიდებდა; ზღვის უფსკრულიდამ დიდი ვეშაპი რომ ამოჰყავდა და ზღვის ნაპირზედ ათამაშებდა. კარგად შეწმარხნილს, შემადრწუნებელს შაირებს გარდა, მოსაკრავეთაც შეჰყრიდეთ ხოლმე, - დაღამების დროს იქ მიიყვანდეთ და ფანჯარას წინ საკრავების ხმას თქვენს დამღერასაც ააყოლებდეთ მგრძნობელობითა. თუ რომ ასე იქთ, არ შეიძლება დროზედ არ დაგყვეთ.

დუკი

ეგ თქვენი რჩევა ცხადად ამტკიცებს, რომ თქვენც ყოფილხართ მართლად ტრფიალი.

თურიო

მაგ დარიგებას მე შეუდგები თუნდ ამაღამვე. მხოლოდ უფალო პროტეოს, გთხოვთ, რომ მუსიკანტების შეგროვებაზედ თქვენც მომეხმაროთ. ამ შემთხვევისთვის ლექსიც მზათა მაქვს.

დუკი

მამ შეუდეგით, დროს ნულარ ჰკარგავთ!

პროტეოს

ვანშამს უკან თუ ნებას გვიბოძებთ...

დუკი

ვანშამს რათ უცდით; ბარემ ახლავე! გზა მშვიდობისა!
(გავლენ)

მოქმედება მეოთხე

სცენა 1. ტყე, მანტუას მახლობლად
შემოვლენ გავარდნილი თული კაცები

I თული
ამხანაგებო! აქ მოდით ჩქარა! მე მგზავრსა ვჰხედავ!

II თული
თუნდ ათიც იყოს, ნუ გენაღვლება, დავსცემთ მაშინვე.
(შემოვლენ ვალენტინ და მარდი)

III თული
შედექით მანდა! და რაც გაგაჩნდეთ, ახლავ მოგვეცით;
ნებით მოგვეცით, თორემ ძალათაც კარგათ წაგართმევთ!

მარდი
გავგძარცვენ ბატონო, ბატონო! ეს სწორეთ ის ავკაცები არიან, ამ გზაზედ რომ თულობენ.

ვალენტინ
ჩემო მეგობრებო!

I თული
აქ მეგობარი არავინ არის; მტერი ვართ თქვენი.

II თული
გაჩუმდი ერთი, ვნახოთ რას ამბობს!

III თული
ამ ჩემმა წვერმა, კაი კაცსა ჰგავს, ვნახოთ რას ამბობს!

ვალენტინ
მაშ, ეს იცოდეთ, ბევრი სიმდიდრე მე არა მაქვს რა.
კაცი ვარ ერთი, შავის ბედისგან შეწუხებული;
რაც რა მაცვია, მეტი სულ არა გამაჩნია რა;
ეს თუ წამართვით, სულ ეს იქნება, რასაც წამართმევთ.

II თული
სად მიხვალთ თქვენა?

ვალენტინ
ვერონას მივალ.

I თული
საიდამ მოხვალთ?

ვალენტინ
მილანიდამა.

III თული

მერე მილანში დიდხანს იყავით?

ვალენტინ

თექვსმეტობდ თვეს. მეტსაც დავჰყოფდი, -
მუხთალი ბედი რომ არ შემცვლიყო.

I თული

რა იყო მერე, გამოგადეს თუ?

ვალენტინ

ჰო, გამოგადეს!

II თული

რა საქმისათვის?

ვალენტინ

გული მიკვდება, რომ მოვიგონებ: იქ ერთი კაცი
შემომაკვდა და დიდათა ვჰსწუხვარ იმის სიკვდილსა.
მუხანათობით კი არ მომიკლავს, ან ღალატითა;
ხმალში გავედით და შემომაკვდა!

I თული

მერე მაგისტვის რაღა გაწუხებს? მაგისტვის იყო
რომ გამოგადეს? დიდი რამ საქმე არ დაგმართვია.

ვალენტინ

კიდევაც კარგი, უფრო სასტიკად რომ არ დამსაჯეს!

I თული

ერთი მითხარი, უცხო ენები იცი, თუ არა?

ვალენტინ

ჩემს მგზავრობაში მაგაზე მეტი რა მიშოვნია!
სხვა სიმდიდრე სკი ნულა რას მკითხავთ.

II თული

იმ რობინ-ჰუდის ბერის ცხონებამ, ეს კაცი ჩვენთან
რომ იქნებოდეს, ჩვენთვის მეფობის ღირსი იქნება!

I თული

მართლა, აქ მოდით, ამხანაგებო!
(ჩუმათ ლაპარაკობენ)

მარდი

მოდი, ბატონო! გაუხდით ამათ ამხანაგათა; ეტყობათ, მართლა, ცუდი კაცები არა ყოფილან!

ვალენტინ

ჩუმათ! სულელო!

II თული

ერთი გვითხარით; ამ ქვეყანაში კიდეც შეგტკივით
რისთვისმე გული?

ვალენტინ

სულ არაფრისთვის.

III თული

მაშ ეს იცოდეთ, ზოგნი ჩვენგანნიც აზნაურნი ვართ,
სიყმაწვილეში თავხედობისთვის გამოგდებულნი
მშვიდობიანის ხალხისაგანა. მე თვითანა ვარ
ვერონადამა, ქალს ვიტაცებდი, დუკის ნათესავს
და მემკვიდრესა; ამისთვისა ვარ გამოვარდნილი!

II თული

მე მანტუაში, გაანჩხლებულმა, გულში ვამგერე
ჩემი ხანჯალი ერთს აზნაურსა და გამოვვარდი.

I თული

მეც მაგისთანა შემემთხვა რაღაც, მაგრამ საქმე ვპთქვით:
დამნაშაულობა თუ მოგვდევს რამე, იმისთვის ვამბობთ,
რომ ეხლანდელი ყოფა-ცხოვრება გაცნობოთ ჩვენი.
მაგ თქვენს მოხდენილს თვალ-ტანადობას რომ შემოვპყურებთ,
და ამას გარდა უცხო ენებიც რომა გცოდნიათ,
ჩვენ ამასა ვპგრძნობთ, რომ თქვენ გვაკლიხართ.

II თული

მართლათაც, რადგან თქვენც კი ისე ხართ გამოვარდნილი, -
აქ ბევრი რჩევა რა საჭიროა; - ჩვენ ამას გვითხავთ;
მოთავეობა რომ მოგცეთ ჩვენი, გინდათ თუ არა?
ჩვენს გაჭირვებას თქვენც დაეჩვიოთ და ამ ყრუ ტყეში
ჩვენთან იცხოვროთ?

III თული

გვითხარ: თანახმა ხარ, თუ არა? თუ ხარ, ჩვენი უფროსი
შენ შეიქნები და ჩვენც პირობას დაგიდებთ აქა,
რომ გემორჩილნეთ! პატივსა გცემდეთ, და როგორც ბატონს,
როგორც ჩვენს მეფეს, ისე გმონებდეთ სიყვარულითა!

I თული

თუ უარს გვეტყვი, იცოდე ბარემ, რომ უნდა მოგკლათ.

II თული

რომ სატრაბახოთ ვედარსადა ჰსთქვით, რაც აქ გითხარით.

ვალენტინ

მე თანახმა ვარ თქვენს სიტყვაზედა, და აქა ვრჩები;
ამ პირობით კი, რომ გასაძრცველად ხელი არ
ახლოთ თქვენს სიცოცხლეში არც ქალსა ვისმე, არც ღარიბს კაცსა.

III თული

გაძლევთ პირობას, მაგვარი საქმე ჩვენც გვეჯავრება.
 მაშ ეს გათავდა! ახლა წავიდეთ! ჩვენს ქვებს მიგიყვანთ,
 და რაც საუნჯე შეგვიკრებია, შენ ჩაგაბარებთ;
 როგორც გერჩიოს, ისე იხმარე და მოგვახმარე.
 (გავლენ)

სცენა 2. მილანი. სასახლის ეზო
 შემოვა პროტეოს

პროტეოს

მე ვალენტინს ხომ მტრულად მოვექეცე; ახლა მოვიდა
 თურიოს რიგი; ვითამ იმისთვის უნდა ვსცდილობდე
 და ჩემს საქმეს კი უფრო ვადგევარ, მაგრამ სილვია
 მეტად წმინდაა, მეტად უბიწო, შეუხებელი!
 ჩემის საზიზღის ყოფაქცევითა როგორ შევიძლებ,
 რომ დავითანხმო? ერთგულებაზედ მერწმუნე მეთქი,
 თუ შევეხვეწე, - მაშ შენს მეგობარს რად უმუხთლეო,
 ამას მომარტყამს. სიყვარულზედ თუ ფიცს მოუყევი,
 ჩემს სიცოცხლეში არა ვჰგმო მეთქი, - მაშ შენს საყვარელს
 რაღათ ჰდალატობ, ჯულიასაო, მაშინვე მეტყვის.
 მაგრამ რაც უნდა გულის საკოდი სიტყვა მაყაროს,
 ჩემს გარდა რომ სხვას იმედს უწყვეტდეს უკანასკნელსა;
 მე მაინც ვიტყვი, რომ ჩემი გრძნობა უფრო და უფრო
 ისე ჰმატულობს და ისე ვეტრფი, როგორც გოშია
 უფრო და უფრო ელაქუცება თავისს პატრონსა,
 რაც უნდა ჰსტუქსონ და ჰსცემონ ხოლმე. აგერ თურიოც!
 უნდა წავიდეთ და ფანჯარას წინ ჩვენის მუსიკით
 ყური დავეუტკბოთ.
 (შემოვლენ თურიო და მოსაკრავენი)

თურიო

როგორ, პროტეოს! თქვენ დაგვასწარით?

პროტეოს

დიაღ, თურიო! ვინც ტრფიალებას ემსახურება,
 სადაც რომ ცხადათ ვერ გამოჩნდება, იქ ჩუმათ მივა.

თურიო

ეგ მართალია; მაგრამ ვჰგონებ კი, თქვენი სამეზნი
 აქ არსად იყოს.

პროტეოს

დიაღ, თურიო! სხვა ხომ იქნება?

თურიო

ვინა, სილვია?

პროტეოს
დიალ, სილვია, და ისიც თქვენთვის.

თურიო
დიდათა გმადლობთ. მუსიკანტებო! აბა მოაწყეთ;
მხიარული რამ!
(შემოვლენ მოშორებით მასპინძელი და ჯულია, ბიჭურად მორთული)

მასპინძელი
რაო, რათა ხართ აგრე, ჩემო ყმაწვილო სტუმარო? თითქო დაღონებული იყოთ, რა მიზეზია?

ჯულია
მგონია მიზეზი ეს იყოს, რომ მხიარულათ ვერა ვარ.

მასპინძელი
მე მინდა გაგამხიარულოთ; აქ ახლოს მუსიკას გავიგონებთ და იქნება ვისაცა კითხულობთ, ისიცა ნახოთ.

ჯულია
იმისს ხმასაც გავიგონებთ, თუ ვერა?

მასპინძელი
რასაკვირველია.

ჯულია
აი, მუსიკა.
(მუსიკა ისმის)

მასპინძელი
ყური დაუგდეთ, ყური დაუგდეთ!

ჯულია
ისიც ამათში არის?

მასპინძელი
დიალ, მაგრამ ჩუმათ! გავიგონოთ!

ს ი მ დ ე რ ა:
ეგ თქვენი სატრფო რომელი არის?
რომ აქაური ყმაწვილ-კაცები მაგას შესტრფიან?
სილვია არის; მშვენიერია;
გონიერია; ზეციერია;
ყოველს სიკეთეს მჯობიერია;
ამ გვარად არის ღვთისგან ნაკურთხი;
ამისთვის არის, რომ ყმაწვილები თავს ევლებიან.
ლამაზი თუა, გულიც კარგი აქვს?
სიმშვენიერე, გულის სიკეთე ერთად ჰსცხოვრებენ.
სიყვარულს თვალი ასტკვივებო;
სილვიას თვალი მოსწონებო;

განსაკურნავად იქ შესულიყო;
 მას აქეთ ბინა მუდმივად იქ
 აქვს; სიყვარული და სიღვრის თვალი ერთარსოვნებენ.
 მაშ ჩვენც ამავე ქალს შევსწიროთ ქება
 გულს-მოდგინებით, მოწადინებით, რაც შეგვეძლება,
 რომელი არის უდარებელი;
 ყოვლის მოკვდავის მაცოცხლებელი;
 ამავე ქვეყნისა მსასოვებელი;
 რომელსა ჰშვენის ქება დიდება
 და რომლის მსგავსი მრთელს ცას ქვეშეთში არვინ იქნება!

მასპინძელი

რა დამართვიათ, ყმაწვილო! ახლა უფრო მოგიწყენიათ? რა მიზეზია? იქნება მუსიკა არ მოგწონდეთ?

ჯულია

მუსიკა კი არა, მომღერალია, რომ არ მომწონს.

მასპინძელი

რატომ, ჩემო პატარა სტუმარო?

ჯულია

ძალიან ცუდათ ამბობს და იმიტომ.

მასპინძელი

ხმას ვერ აყოლებს თუ?

ჯულია

არა, ეგ არა; მაგრამ მაინც ისე ამბობს, რომ გულს უკლავს კაცსა.

მასპინძელი

გეტყობათ, ყურთა სმენა ძალიან წმინდა გქონიათ.

ჯულია

ნეტავი ყრუ ვჰყოფილავიყავ; გული უფრო დამშვიდებული მექნებოდა.

მასპინძელი

გეტყობათ, საკრავების ხმა არა გყვარებიათ.

ჯულია

სულაც არა, მეტადრე, როცა აგრე შეუწყობრად უკვრენ.

მასპინძელი

დაუგდეთ, ყური დაუგდეთ, რა მშვენიერი ხმა არის ესა!

ჯულია

კიდევ ეგ მეჯავრება, რომ კილოს ეგრე ადვილათა ჰსცვლიან.

მასპინძელი

მაშ ის გირჩევნიათ, რომ სულ ერთი ხმა იყოს?

ჯულია

ის მირჩევნია, რომ სულ ერთს კილოზედ უკრავდნენ. ერთი მითხარით, ეს პროტეოსი, ჩვენ რომ ვახსენებდით, ხშირათ დაიარება ამ ქალთანა?

მასპინძელი

რაც მე იმისმა მსახურმა ლაუნსმა მითხრა, მეც იმას გეტყვით, რომ უზომოთ თურმე უყვარს ეს ქალი.

ჯულია

ლაუნსი სად არის?

მასპინძელი

თავისს ძაღლს ეძებს; ხვალ, ბატონის ბძანებით, იმ ქალს უნდა მიჰგვაროს საჩუქრათა.

ჯულია

ჩუ! იქით გავიდეთ! იშლებიან.

პროტეოს

ნუ გენადვლებათ, სინიორ თურიო! ისე დაუწყებ მე ლაპარაკსა, რომ თქვენც გიკვირდეთ.

თურიო

ახლა სად ვნახავთ ჩვენ ერთმანერთსა?

პროტეოს

წმინდა გრიგოლის წყაროს ნაპირზედ.
(თურიო და მოსაკრავენი გავლენ. სილვია გადმოდგება ფანჯარაში)

პროტეოს

მშვიდობა თქვენდა!

სილვია

დიდათა გმადლობთ მუსიკისათვის. ვინა ხართ მანდა?

პროტეოს

მე ის გახლავარ, რომელსაც ხმაზედ მალე მიცნობდით, ჩემს გულს რომ ჰსცნობდეთ! უკიდურესად ერთგულსა თქვენსა.

სილვია

სინიორ პროტეოს! თუ არა ვჰსცდები!

პროტეოს

სინიორ პროტეოს, ჩემო ბატონო! თქვენი მსახური.

სილვია

რა გნებავთ მერე?

პროტეოს

თქვენი მონება, თაყვანისცემა.

სილვია

მამე გიბრძანებთ, ახლავ წახვიდეთ და დაიძინოთ!
სულო ცბიერო, ფიცის გამტეხო, ყაღბო, უსჯულოვ!
ისე უაზრო, ისე სულელი როგორ გგონივარ,
რომ დაუჯერო კაცის სიტყვასა, რომელსაც ფიცი
არაფრათა ჰსწამს და რამდენჯერმე გაუტეხია?
წადი, წაბძანდი, და შენი საქმე იქ გაასწორე,
სადაცა გმართებს. მე კი ჩემის მხრით, ვინც ეს მნათობი
ცა გააჩინა, იმის მადლს ვჰფიცავ, ისე შორსა ვარ,
რომ შენს ვედრებას ყური ვათხოვო, როგორცა მძულხარ
შენის სამაგლის ყოფაქცევისთვის. მე ჩემი თავიც
მეჯავრება, რომ ამ ლაპარაკით შენთან დროს ვჰკარგავ!

პროტეოს

მე აღვიარებ, მნათობო ლედი! რომ სხვა მიყვარდა, -
მაგრამ - მომიკვდა.

ჯულია (ცალკე)

ეგ რომ მე მეთქვა, ხომ ვიცრუებდი; რადგან ჯერ, ვიცი, არ დაუმარხავთ.

სილვია

ვკთქვით აგრე იყოს; ვალენტინი ხომ ცოცხალი არის!
ხომ კარგათ იცი, რომ მე იმისი დანიშნული ვარ!
არა გრცხვენია, მეგობარს რომ ჰგმობ და იმისს
სატრფოს შემომჩენიხარ?

პროტეოს

ვსწუხვარ, მაგრამა იმისს სიკვდილსაც სწორეთ ამბობენ.

სილვია

მამე ეს იცოდე, რომ მეც მკვდარი ვარ, და ჩემი გულიც
იმასთან არის განუშორებლად დამიწებული.

პროტეოს

ნება მიბოძე, შენი ჭირიმე, მე ამოვიდო!

სილვია

ის ამოიდე, თუ არ დაიშლი, ვინაც გიყვარდა;
თუ არა, იქვე შენც დაემარხე.

ჯულია (ცალკე)

ეგ ლაპარაკი ამას არ ესმის.

პროტეოს

თუ თქვენი გული აგრე საოცრად გამაგრებულა,
თქვენი სურათი მაინც მიბოძეთ, მანდ თქვენს ოთახში
რომ გიკიდიათ. იმას შევეტრფი, ჩემს მწუხარებას
იმას შევჰსჩვილებ, იმას შევჰსტირებ. თქვენი ღვთიური
არსება სხვისთვის რომ შეგიწირავთ, მე გაგიხდივართ

უსაგნო ლანდად, და თქვენსავე ჩრდილს შევსწირავ მეცა
ჩემს ტრფიალებას.

ჯულია (ცალკე)

თვითან არსება რომ ყოფილიყო, შენ ხომ იმასაც
შეაცდენდი და ჩრდილათ გახდიდი, როგორც რომ მე ვარ.

სილვია

დიდათა მძაგს მე, რომ თქვენგან ვიყო თაყვანსაცემი.
მაგრამ რადგანაც ფუჭის ჩრდილისა და ცრუ ოცნების
თაყვანის ცემა სწორეთ შეკშვენის თქვენს უსჯულობას,
წააღებინეთ, - ხვალა, - ახლა კი ღამე ნებისა!

პროტეოს

ამისი მსგავსი ღამე ნებისა იმას თუ ეთქმის,
ვისაც დილაზე სიკვდილი ელის გადაწყვეტილი!
(პროტეოს გავა. სილვია ფანჯარას მოსცილდება)

ჯულია

მასპინძელო, წავიდეთ!

მასპინძელი

ღმერთმანი, დამძინებია!

ჯულია

ერთი მითხარი, სადა დგას ეს პროტეოსი?

მასპინძელი

აქვე დგას, ჩემს სახლში. თითქო თენდებაო, ჰა?

ჯულია

ჯერ არა! რაც ძილი გამკრთალი მაქვს, მას აქეთ მე ამისთანა დიდი ღამე არსად მინახავს.
(გავლენ)

სცენა 3. იქვე

შემოვა ეგლამურ

ეგლამურ

მე რომ სილვიამ დრო დამინიშნა, სწორეთ ეს არის.
უეჭველია, დიდი რამ საქმე ექნება ჩემთან!
ვნახოთ რას მეტყვის! აბა! სილვია!
(სილვია იმავ ფანჯრიდამ)

სილვია

ვინა ხარ მანდა?

ეგლამურ

თქვენი მსახური და მეგობარი, რომელიც ველი
თქვენს ბრძანებასა.

სილვია

ათიათასჯერ დილა ნებისა, ჩემო ეგლამურ!

ეგლამურ

აგრეთვე თქვენცა, ჩემო ბატონო! თქვენის ბძანების
მორჩილი, ველი, რა გნებავთ ჩემგან, რომ აღვასრულო!

სილვია

ეგლამურ! შენ ხარ კეთილშობილი (ჭეშმარიტება
პირმოთნეობად არ ჩამომართვა); ხარ გონიერი,
გულით კეთილი, შემბრალებელი, პატიოსნებით
ყოვლითურთ სრული! და კარგათ იცი, თუ როგორ მიყვარს
მე ვალენტინი; ესეც კი იცი, რომ მამას ჰნებავს
თურიოს მიმცეს, რომელიც არის ფუჭი, სულელი
და მძაგს სულითა. ერთხელ როდისმე შენც გყვარებია!
მე კარგათ მახსოვს, შენ რომ ამბობდი, ჩემს სიცოცხლეში
ისე არაფერს დაუჩაგრავარ, როგორც რომ ჩემის
დანიშნულისა გარდაცვლასაო! იმისს საფლავზედ
დაგიფიცნია სამარადისოდ უცოლოდ ყოფნა!
ჩემო ეგლამურ! მე ვალენტინი მინდა მოვნახო!
ამბობენ, ვითამ მანტუას იყოს; და რადგან გზაზედ
შიში არისო, მე მოვმართე შენს პატიოსნებას
და ერთგულებას, და გევედრები, შენ გამაცილო!
ნუ მეტყვი, მამა გაგიწყრებაო! გახსოვდეს მხოლოდ,
რომ უბედური ყმაწვილი ქალი უზომოდ ვჰსწუხვარ
და უსაცილოდ საჭირო არის, რომ განვემორო
აღმაშფოთებელს, საზიზღარს კავშირს, კაცთაც და ღმერთსაც
რომ ეწყინებათ. გთხოვ ვედრებითა, მომაპყარ ყური
ჩემს შეწუხებულს და დატანჯულს სულსა და მიპატრონე,
თან გამომყევი! - თუ უარს მეტყვი, გაფიცებ ღმერთსა, -
რომ რაც აქ გითხარ, არ გამამხილო, თავის დაღწევა
არ დამიბრკოლო!

ეგლამურ

მადამ! ეგ თქვენი მწუხარება როგორ განვჰკიცხო!
აღმსარებელი თქვენის გრძნობისა, მზათა ვარ გულით
და გაიხლებით. თუ მომეკითხა, ამისს ზრუნვასა
ნატვრა აქარწყლებს, რომ ბედნიერად აღსრულდეს თქვენი
განზრახულება! ახლა მიბძანეთ, როდის ინებებთ,
რომ გავემგზავრნეთ?

სილვია

ამ სადამოსვე.

ეგლამურ

სად შევიყარნეთ?

სილვია

მამა პატრიკის სენაკის ახლოს. აღსარებისთვის

მივალ იმასთან.

ეგლამურ

მე იქ დაგხვდებით. ახლა მშვიდობით!

სილვია

მშვიდობით, ჩემო კარგო ეგლამურ!

(გავლენ)

სცენა 4. იქვე

შემოვა ლაუნსი თავისი ძაღლით

ლაუნსი

როდესაც ადამიანის მსახური თავის პატრონს ქოფაკი ძაღლივით ეკიდება, უნდა მოგახსენოთ, მეტათ ძნელი რამ არის. მე ეს პაწაწა ლეკვი გამომიზღვია; - მე ეს სიკვდილს გადამირჩენია, სწორეთ მაშინ, როდესაც ამისი და-ძმანი, სამი თუ ოთხი, ერთად დაახრჩეს. ისე გამიწვრთნია, რომ ყოველი კაცი იტყვის, სწორეთ მეც ასე გავსწვრთნიდიო. - ჩემმა ბატონმა მიბძანა, სინიორა სილვიას მიჰგვარე და ჩემმაგიერად საჩუქრათ მიართვიო; მეც, რასაკვირველია, მივართვი. სასტუმროში შევედით თუ არა, ეცა მაშინვე სუფრასა და ყვერულის ბარკალსა სტაცა პირი! - აბა, რა საქციელია თქვენი ჭირიმი? როგორ, საძაგელი არ არის, რომ გაზდილმა ძაღლმა არ იცოდეს, ქვეყანაში როგორი ყოფაქცევა უნდა, თავი როგორ უნდა ეჭიროს. მე სულ ამას ვამბობ, თუ რომ ძაღლმა, ასე ვთქვათ, კაი ძაღლობა დაიჩემა, ბარემ გაატანოს კიდეცა. თორემ ეს სადაურია? მე რომ უფრო ჭკვიანი არა ვყოფილვიყავი, მე რომ ზოგიერთი ამისი ავმადლობა ჩემ თავზედ არ გადმომეტანა, თქვენი მტერი მოუკლავთ, როგორც ამას მოჰკლავდნენ, ჩამოახრჩობდნენ, თავი ცოცხალი არ მინდა, თუ სწორეს არ ვამბობდე! აბა იფიქრეთ, თქვენი ჭირიმი: სამ თუ ოთხ კარგათ გაზდილ ძაღლებთან ესეც შეიპარა დუკის სასახლეში და მაშინვე სტოლქვეშ ამოყო თავი. არ გამოსულა იმდენი ხანი, რაც ცხვირის მოხოცას მოუნდებოდა, რომ მაშინვე ცხვირში იტაცეს ხელი, ვინც იქ იყვნენ. „ძაღლი გააგდეო“, - ერთმა თქვა. „ვისი რა ძაღლიაო?“ - იკითხა მეორემ; „გააგდეო გარეთაო“, - წამოისროლა მესამემ; „ახლავე ჩამოახრჩობინეთო“, - წამოიძახა დუკმა. რასაკვირველია, მაშინვე მენიშნა, რომ ჩემი კრაზის საქმე იყო ესა. და გავსწიე იმ კაცთან, ვისაც ეს ბძანება უნდა აესრულებინა. დაუღვრიჭე და მოგახსენე: იქნება მართლა ეს ძაღლი უნდა გალახოთ მეთქი? - სწორეთ უნდა დავსაჯოო, - მითხრა. - ეგ საშინელი უსამართლობა იქნება მეთქი, მე უთხარი. - როგორაო, ახლა იმან მკითხა. - როგორა და ისე მეთქი! რომ... ეგა... რაღა დაგიმალათ... მე დამემართა მეთქი! - სტაცა მათრახს ხელი და ორიოდ სამი ისეთი გამაწნა, რომა, გარეთ თუ არ გამოვარდნილვიყავი, თქვენი მტერი, ჩემი საქმე იქნებოდა. არა, გამიკითხეთ ერთი, ბევრია ქვეყანაზედ ისეთი ბატონი, რომ თავისი მსახური ასე გადაარჩინოს? მაგრამ, ეს კიდე რა? მე შემომიღია ფიცით დაგარწმუნოთ, რომ ერთხელ ფეხებში ხუნდი მეყარა, ამან რომ მეხვი მოიპარა იმისთვისა; თორემ ვილა აცოცხლებდა. - ერთხელ კიდევ ბატი მოიპარა და ისიც რომ მე დავიბრალებე, რაც მე ამაზე გადამხდა, ამას ნუღარ მათქმევინებთ. სუყველაფერი დაგივიწყნია შე მყარალო, შე საძაგელო? - მე ერთი საქმე კიდევაც მახსოვს შენი! სინიორა სილვიას რო ვესალმებოდი, ის რა ქენ მაშინა, ჰა? რამდენჯერ მითქვამს, მე მიყურე და რასაც მე ვიქმოდე, შენც ისე იქმოდე მეთქი და შენ რა ჰქენი? არა, შე მამა პატიოსანო, აბა ერთი მითხარი, ფეხაშვერილი როდის გინახავარ? მერე სადა, ჰა? მერე ვისთანა? როდის გინახავარ მეთქი, რომ ზედ პატიოსანის ქალის კაბაზე?.. ავილო ერთი და...

(ამ დროს შემოვლენ პროტეოსი და ჯულია)

პროტეოს

სებასტიანე გქვია სახელად? მომწონხარ შენა

და მიმიღიხარ; და ერთს საქმესაც ახლავ დაგსაქმებ.

ჯულია

რასაც მიბძანებთ, მე აღვასრულებ, თუ შევიძელი.

პროტეოს

იმედი მაქვს, რომ კარგათ შეიძლებ.

(ლაუნსს)

აჰა, შე წუწკო! ეს ორი დღეა სად დაეთრევი?

ლაუნს

თქვენ არ მიბძანეთ, სინიორა სილვიას ძალლი მიაართვიო?

პროტეოს

რა გითხრა მერე, ჩემი პაწაწკუნა გოშია რომ ნახა?

ლაუნს

ასე ბძანა, საძაგელი ძაღლიაო და ძაღლურ მადლობათაც არა ღირს თქვენი საჩუქარიო.

პროტეოს

გამოგართვა კი?

ლაუნს

რა ბძანებაა! ისევ უკან მოვიყვანე; აი, აქ გახლავს.

პროტეოს

როგორ? იქნება ჩემმაგიერად შენ ეს მიჰგვარე?

ლაუნს

დიალ! თქვენი პატარა გოშია ვიღაც სალახანამ მომპარა მეიდანზედა და მეც იმის მაგიერად ჩემი ძაღლი მივგვარე. ეს ათი იმოდენაც გამოვა და საჩუქრათაც ხომ ერთი ათათ ეღირებოდა.

პროტეოს

ოჰ! შე უვარგისო, შენა! გაეთრი, ახლავე იპოვე ჩემი გოშია, თორემ თვალით აღარ დამენახო. რაღას უდგებხარ, გასწიე მეთქი, გეუბნები. ყოველთვის უნდა მარცხვენდე ხოლმე, შე საძაგელო! მაგაზე მეტი ღირსება არა გაქვსრა.

(ლაუნსი გავა)

სებასტიანე! შენ რომ ამყავხარ, უფრო იმისთვის, რომ მეჭირვება კარგი მსახური; რასაც დავსაქმებ, რომ რიგიანად დაადგეს ხოლმე. არ შეიძლება, რომ მე ამ სულელს მივანდო რამე და არ არიოს.

შენ კი მომწონხარ. თუ არა ვსცდები, ზედვე გეტყობა გაზდილობაცა, გონიერებაც და ერთგულებაც.

ეს მიზეზია, რომ აგიყვანე! აჰა, წაილე

ეს ბეჭედი და, ჩემმაგიერად, მადამ სილვიას

თვითან მიაართვი. - მე ქალმა მომცა,

რომელსაც ერთხელ დიდად ვეტრფოდი.

ჯულია

არ გყვარებიათ, თუ იმისს ნიშანს ახლა სხვას აძლევთ.

მაგრან ვინ იცის, იქნება მოკვდა?

პროტეოს
არა მგონია; ცოცხალი არის.

ჯულია
ვაი.

პროტეოს
რა იყო ეგ ვაი!

ჯულია
მებრალეზა და - როგორ იქნება, არ შევიბრალო?

პროტეოს
მიზეზი ვითამ რა უნდა გქონდეს, რომ შეიბრალო?

ჯულია
ასე მგონია, რომ თქვენ იმ ქალსაც ისე ძლიერად
ეყვარებოდით, როგორც ახლა თქვენ სილვია გიყვართ.
ის უნდა იყოს ახლა თქვენს ფიქრში და თქვენ კი სულ სხვას
ეტრფიალებით, რომელიც, ვჭგონებ, თქვენ არას დაგდევთ;
მე ეს ვიფიქრე, რომ მეტად ძნელი იქნება მეთქი
შეუგნებელი სიყვარული და - ამოვიოხრე.

პროტეოს
მაგ ბეჭედთან ეს წიგნიც მიაართვი; იმის ოთახი
აი, აქ არის და ჩემს სანატრელს ეს მოახსენე,
რომ სურათს ველი დაპირებულსა. ამ დარიგებას
რომ შეასრულებ, მე შინ ვიქნები დაღონებული
და იქ მომნახე.
(პროტეოს გავა)

ჯულია
ნეტა ვიცოდე, ბევრი იქნება ისეთი ქალი,
რომ ამისთანას საქმეს დაადგეს, როგორც მე ახლა?
საბრალო პროტე! ბატკნებისათვის რომ მწყემსად მელა
მიგიჩენივარ!! შენ ჩემო თავო! რაღათ ვიბრალებ
კაცსა, რომელიც ჩემს ტრფიალებას აღარას დასდევს?
რაღა თქმა უნდა, რადგან სხვა უყვარს, მე უკუმაგდებს.
და მე რომ მიყვარს, მე კი მმართვეს რომ მებრალეზოდეს.
ჩემი ბეჭედი!.. რომ მოდიოდა მე მივეც ესა,
გახსოვდეს მეთქი, და ახლა ხედავთ, როგორ ვახსოვარ?
იმის გულისთვის უნდა თავს ვიდვა მოციქულობა
მე უზადრუკმა და ისეთს რასმე უნდა ვევედრო,
რომ უარის თქმა მიამებოდეს; - ისეთი რამე
უნდა მივართვა, რომ არ მიღება გამახარებდეს;
პირიანობას ისეთს ვუქებდე და ვუდიდებდე,
რომ გაცრუვება მე უფრო მსურდეს. ჩემის ბატონის
სარწმუნოდ მტრფობი როგორ ვიქნები სანდო მსახური,
თუ თვითან ჩემს თავს არ ვუღალატე? მმართვეს კი მაინც

შუა-მდგომლობა, ვისთანაც მგზავნის; მაგრამ როგორი?
 ღმერთმან ხომ იცის, გულს-მოდგინებით არ შემდილია,
 რადგან მე ისე არა მინდარა, როგორც უარი. -
 (შემოვა სილვია მოახლეებით)
 დილა ნებისა, მნათობნო ქალნო! გთხოვთ, რომ მიბძანოთ,
 მადამ სილვია სად როგორ ვნახო?

სილვია
 რა გნებავთ მერე? ვთქვათ, რომ ის მე ვარ!

ჯულია
 თუ თქვენ ბძანდებით, ნებას მოვითხოვ, რომ მოგახსენოთ,
 რისთვისაცა ვარ გამოგზავნილი.

სილვია
 ჯერ ეს მითხარით, ვინ გამოგზავნათ?

ჯულია
 სინიორ პროტეოს, ჩემმა ბატონმა.

სილვია
 ჰო! სურათისთვის გამოგზავნიდათ?

ჯულია
 დიად, ბატონო!

სილვია
 ურსულა! შედი, ჩემი სურათი გამოიტანე.
 (ურსულა გამოიტანს)
 აჰა, მიეცით ეს თქვენს ბატონსა! ჩემმაგიერად
 ასე უთხარით, რომ ეს აჩრდილი იმისს სახლს ისე
 ვერ დააშვენებს, როგორც რომ მართლად დავიწყებული
 იმის ჯულია დააშვენებდა.

ჯულია
 ესეც ინებეთ და წაიკითხეთ, ჩემო ბატონო.
 (წიგნს აძლევს)
 ოჰ, მომიტევეთ, სხვისა მოგართვით! თქვენი ეს გახლავთ!

სილვია
 მიჩვენეთ ერთი, ეგ ვიდასია?

ჯულია
 არ შემდილია, თქვენს მზესა ვჰფიცავ, და მომიტევეთ.

სილვია
 ესეც წაიღეთ; სულაც არ მინდა რომ წავიკითხო
 იმისი წიგნი; ბეჯითად ვიცი, რაც ეწერება:
 რწმუნება, თხოვნა, ვედრება, ფიცი,

რომელსაც დაჰხევეს, როგორც მე ამას.
(წიგნსა ჰხევეს)

ჯულია
მაგასთან ესეც მოგართვათ თქვენა!
(ბეჭედს აძლევს)

სილვია
მაგითი უფრო იმდაბლებს თავსა. ათასჯერ უთქვამს,
რომ ეგ ბეჭედი ჯულიასია, - იმისგანა აქვს.
პროტეოსმა თუ იმ სიყვარულის ეგ საღმრთო წინდი
უსვინიდიოდ შეგინებულ-ჰყო, მე აღარა ვიქ, -
მაგის შეხებით რომ შეურაცხ-ვჰყო ჯულიას გრძნობა!

ჯულია
ის გმადლობთ თქვენა!

სილვია
რაო? რას ამბობთ.

ჯულია
მე გმადლობთ, მადამ! იმ ჯულიას რომ აგრე იბრალებთ.
საბრალო ქალი! არ ემართლება ჩემი ბატონი.

სილვია
იცნობთ იმ ქალსა?

ჯულია
როგორც ჩემს თავსა! რამდენჯერ კიდეც მიტირნია მე, -
რომ მიფიქრნია, როგორ მწუხარედ იქნება მეთქი.

სილვია
პროტეოსისგან ხელის აღება იცის იმ ქალმა?

ჯულია
ვჰგონებ იცოდეს და საბრალო გულს ეს უმუსრავდეს.

სილვია
სახით ჯულია როგორი არის?

ჯულია
როგორიც იყო, რაღათ იქნება ახლა ისეთი!
როდესაც ჰსწამდა, რომ ამ ჩემს ბატონს სწორეთ უყვარდა,
ისე ჰშევენოდა, როგორც რომ ახლა თქვენა ბმანდებით,
მაგრამ მასუკან, რა რომ სარკეში არ იხედება
და აღარც მზის შუქს არიდებს პირსა, დაწვებზედ ვარდი
აღარ უყვავის, და გამკრთალი აქვს ზამბახის ფერი.
მე რომ მიყურებთ, ისეა ახლა.

სილვია
ტანადი არის?

ჯულია

თითქმის ასეთი, როგორც მე მხედავთ.
ნააღდგომევეს რომ ბედნიერ დღეებს ვსასწაულობდით
და ვთამაშობდით, მე ქალს ვადგენდი და ისე მოჰხდა,
რომ იმის კაბა უნდა ჩამეცვა; რა რომ ჩავიცვი,
სწორეთ მეგონა, ჩემია მეთქი, ისე მომიხდა.
ამითი ვიცი, რომ თითქმის ჩემის ტანისა არის.
არიადნას როლს მე ვჰთამაშობდი, თეზეის დალატს
და განშორებას რომ მისტიროდა; - ისეთნაირად
წარმოვადგინე, რომ, მოტირალი რომ დამინახა, -
თვითნაც ცხარის ცრემლით ატირდა; და ღმერთსა ვჰფიცავ,
რომ მაშინ დიდად მებრალებოდა.

სილვია

საბრალო სული! აგრე უღმერთოდ დავიწყებული!
შენმა ამბავმა მეც ამატირა. აჰა, ეს ქისა!
ეგ სიბრალო რადგან გქონია, იმისთვის გაძლევ.
ახლა მშვიდობით.
(სილვია გავა მოახლეებით)

ჯულია

ამის მადლობას კიდევაც გეტყვის, როცა გაცნობა
შეგხვდებათ სადმე. გაკურთხოს ღმერთმან, სულო კეთილო!
ჩემს სიყვარულს თუ ასე პატივს სცემს, იმედი არის
რომ ამ ჩემს ბატონს აღარ დაჰყვება! ოჰ! სიყვარულო!
რისგან არის, რომ თვითონ შენს თავსვე შენვე დასცინი?
აბა, გავშინჯოთ ჩვენ ეს პორტრეტი! მეც რომ ამგვარად
თავს ვიკაზმიდე, მგონია, რომ მეც ისე მომიხდეს,
როგორც ამასა. მხატვარს კი ცოტა უფრო ლამაზად
გამოუხატავს, თუ ჩემი თავი მეტად ლამაზი
არა მგონია. - ამას ჰქონია თმა წაზლისფერი,
და მე მაქვს ქერა. ამაზე მეტი თუ სხვა მიზეზი
არა არის რა, რომ მე გამცვალა, - ამისს ფერს ფარუქს
ვიშოვი სადმე და გავიკეთებ. მაშინ რას იტყვის?
თვალების ფერი მინის ფერი აქვს და მეც აგრე მაქვს; -
შუბლი კი უფრო მე მაღალი მაქვს. მაშ რა აქვს ამას
იმისი გულის მიმტაცებელი, რასაც ჩემშიაც
ვერ იპოვიდეს? თუ სიყვარული მართლა ბრმა არის?
ჩემო აჩრდილო! შენვე რომ მიგაქვს შენს საყვარელთან
ეს მტრის აჩრდილი, შენც ხომ იცი, რომ ტრფიალებასა,
ფუფუნებასა, ხვევნა-კოცნასა, თაყვანის-ცემას
ამას დაუწყებს, - მაშინ, როდესაც შენ იქნებოდი
თაყვან-საცემი, ცოტა გაგება რომ ჰქონებიყო!
მაგრამ, სურათო! ვისიც სახე ხარ, იმის მადლობით
მე ვერ გიმტერებ; და თუ ეს არა, ღმერთმან ხომ იცის,
ამ ნახატს თვალებს სულაც მოვთხრიდი, ოღონდ კი ამით

იმისი ტრფობაც ამომეშალა!
(გავა)

მოქმედება მეხუთე

სცენა 1. იქვე. მონასტრის ეზო
შემოვა ეგლამურ

ეგლამურ
აგერ! აყვითლებს მზე დასავლეთსა! ამ დროსო, მითხრა,
მამა პატრიკის სენაკს მოვალო! არა მგონია
დაიგვიანოს. ტრფილისაგან დაგვიანება
რა სათქმელია? მოუთმელობა უფრო იციან
და დანიშნულს დროს რომ არ დაესწრონ,
ძვირათ მოხდება.
(შემოვა სილვია)
აგერ ისიცა! მშვიდობა თქვენდა, ჩემო ბატონო!

სილვია
დიდათა გმადლობ, ჩემო ეგლამურ, რომ აქ დამიხვდი,
ნუ ვიგვიანებთ; პატარა კარით გავიდეო, ჩქარა;
თორემ, ვინ იცის, რომ მოგვეწივნენ?

ეგლამურ
ნუ გეშინიათ, სულ არ იქნება ტყემდინ ორი თუ
სამიოდ მილი. რა ტყეს მივაწევთ, მერე რა გვიშავს.
(გავლენ)

სცენა 2. იქვე. ოთახი დუკის სასახლეში
შემოვლენ თურიო, პროტეოს და ჯულია

თურიო
აბა, პროტეოს! რაო სილვიამ ჩემს განზრახვაზედ?

პროტეოს
ეტყობა, ახლა უფრო და უფრო ღმობიერდება.
მაგრამ კიდევა ჰპოვებს რაღასაც თქვენს ნაკლებობას.

თურიო
გრძელი ფეხები აქვსო, ამითი ხომ არ მიწუნებს?

პროტეოს
არა, ჰგონია, კანჭები გქონდეთ როგორღაც წვრილი!

თურიო
მამ, თუ აგრეა, ჩექმებს ჩავიცვამ, მსხვილი ეგონოს.

ჯულია (ცალკე)
თუ არ უყვარხართ, მამ დეზებიოც ვერას გააწყობთ.

თურიო
პირის სახეზედ, რაო, რას მამჩნევს?

პროტეოს
როგორღაც მეტად თეთრი არისო.

თურიო
სტყუის მაგასა; შავი უფრო ვარ.

პროტეოს
მარგალიტი ხომ დიად თეთრია; ანდაზად ითქმის:
თუ შეგვგრემანი უყვართ ქალებსა, მარგალიტის ფრად
მიაჩნიათო.

ჯულია (ცალკე)
მარგალიტები თვალს გვიტყუებენ;
მე დავჰხუჭავდი, რომ ამისთანა სულ არ მენახა.

თურიო
ლაპარაკს მაინც ხომ არ მიწუნებს?

პროტეოს
არ მოსწონს მაშინ, როდესაც ამბობთ ჩხუბის ამბავსა.

თურიო
ტრფიალებზე და მშვიდობაზე რომ ვლაპარაკობ,
ეტყობა, მაშინ კი არ მიწუნებს.

ჯულია (ცალკე)
მგონია, მაშინ უფრო მოსწონდე, ჩუმათ როცა ხარ!

თურიო
ჩემს ვაჟკაცობას როგორ აფასებს?

პროტეოს
მაგისი ეჭვი სულ არა აქვს რა.

ჯულია (ცალკე)
რადგან იცის, რომ ქალაჩუნა ხარ. ~

თურიო
გვაროვნობისას რას ამბობს ჩემსას?

პროტეოს
თურიოს გვარი შესამჩნევლად ძველი არისო.

ჯულია (ცალკე)
და სისულელეც გასაოცებლად შესამჩნევია.

თურიო
რაც მამულების მფლობელი მე ვარ, ხომ იცის ესა?

პროტეოს
როგორ არ იცის; მაგრამ სწუხს დიდად...

თურიო
რაო, რასა სწუხს?

ჯულია (ვალკე)
რომ მაგისტანა მხეცს დაგრჩენია.

პროტეოს
რატომ თვითანვე არა მართავსო.

ჯულია
დუკი!
(შემოვა დუკი)

დუკი
რაო პროტეოს? რაო თურიო? ამ ცოტას ხანში ეგლამური ხომ არსად გინახავთ?

თურიო
მე არ მინახავს.

პროტეოს
არც მე მინახავს.

დუკი
არც ჩემი ქალი?

პროტეოს
არც თქვენი ქალი.

დუკი
მამ ვალენტინთან გაუწევია, თქმა აღარ უნდა;
და ეგლამურიც თან გაჰყოლია, უეჭველია.
მამა ლორენცოს უნახავს ტყეში. ეგლამური
კი იმ წამს უცვნია და ქალს კი პირზედ მასკა ჰფარვია,
მაგრამ სილვიას მივამსგავსეო. ამ სადამოზედ
გასანდობელად წასულა თურმე პატრიკოსთან, -
მაგრამ იმასთან არა ყოფილა. ამით ჰმტკიცდება,
რომ გაქცეულა. ახლა გთხოვთ თქვენა,
დროს ნულარ ვჰკარგავთ, -
ცხენებს მოვასხდეთ და გამოუდგეთ. მე იმ გორაზედ
მოგიცდით თქვენა, მანტუასაკენ რომ გადაჰყურებს.
იქითკენ არის იმათი გზაცა. აბა საჩქაროდ!
(გავა)

თურიო
უყურეთ ერთი ამ კერვ გოგოსა! ბედს გაჰქცევია!
გამოუდგები, მაგრამ იმისი ტრფობით კი არა,

ამ იმედითა, ეგებ ეგლამურს გარდავუხადო!
(გავა)

პროტოს
მე ეგლამურის ჯავრით კი არა, თვით სილვიასთვის!
(გავა)

ჯულია
და მე სილვიას ჯავრით კი არა, ეგებ შევჰშალო
ეს სიყვარული პროტოსისა!
(გავა)

სცენა 3. ტყე მანტუას საზღვარზედ
შემოვლენ სილვია და თულები

I თული
გასწი, გასწიეთ!
ნუ გეშინიათ, ჩვენს კაპიტანთან უნდა მივიდეთ.

სილვია
ათასგზის მეტი უბედურება გამომივლია,
და ამას რაღას შეუშინდები.

II თული
რატომ არ მოგყავთ, რაღას შედექით?

I თული
ის რაღა იქნა, აზნაურშვილი რომ მოჰყვებოდა?

III თული
გაგვექცა, მაგრამ მოსე და ვალერ გამოეკიდნენ.
შენ ეგ მიჰგვარე ჩვენს ატამანსა; დასავლეთის მხრის
ბოლოზედ არის ამ ტყეში, და ჩვენ იმავ გაქცეულს
გამოუდგებით. ვერსად წაგვივა. რაც აქ გზა არის,
სულ შეკრული გვაქვს.

I თული
იარეთ, კარგი! ატამანს უნდა მიგვვაროთ თქვენა.
ნუ გეშინიათ, კარგი კაცია, კეთილშობილი,
და ქალის წყენას ის არასოდეს არ მოინდომებს.

სილვია
ჩემო ვალენტინ! შენი გულისთვის ვითმენ ამასა.
(გავლენ)

სცენა 4. სხვა ადგილი იმავე ტყეში
შემოვა ვალენტინ

ვალენტინ

რას ვერ შეიძლება, ვერ შეეჩვევა ადამიანი?
 ახლა მე ეს ტყე, ჩუმი, წყვდიადი და უდაბური, -
 თითქმის რომ მიჯობს დიდსა და ხალხით სავსეს ქალაქს.
 კაცთაგან მარტოდ და უხილავად რომ ვარ მე აქა, -
 არა მიშლის რა, რომ ჩემს კვნესასა და ჩემს ვაებას
 ბულბულის ყეფას ავაცოლებდე და მეც მოვსთქმიდე.
 ჩემს გულს მსუფევო! ნუ განუტევებ ამ შენს ბინასა,
 თუ არა გნებავს, რომ მოიშალოს და ისე გაჰქრეს,
 რომ რაც ყოფილა, იმის ხსენებაც არა დარჩეს რა!
 განმაცხოველე შენის სუფევით, ჩემო სილვია!
 მოვედინ ჩემდა, კეკლუცო ნიმფავ და ნუგეშ-ეცი
 შენსა უბადრუკს თაყვანის მცემსა!.. რა ისმის ესა?
 როგორი ხშირი ხმიანობაა ახლა ამ ტყეში!
 უთუოთ ჩემი ამხანაგები დასდევენ ვისმე
 საბრალოს მგზავრსა. რაც არა ნებავთ,
 ან რასაც თვითონ არ დაიშლიან, სხვა არა სწამთ რა!
 მე პატივს მცემენ, მაგრამ მეც მიჭირს, რომ ზოგიერთი
 ავაზაკობა მოვაშლევინო. - აქეთ მორბიან!!
 დავიმალები.
 (ხეს ამოეფარება; შემოვლენ პროტეოს, სილვია და ჯულია)

პროტეოს

მადამ! თუმც თქვენთან ჩემგან სამსახურს
 ფასი არა სძევს, მაგრამ მე მაინც გადაგარჩინეთ
 ამ განსაცდელსა; თავის გაწირვით გამოგიხსენით
 იმ კაცისაგან, რომელიც თქვენსა უპატიობას
 და დამონებას განიზრახვიდა. სამაგიეროდ
 სხვას არასა გთხოვთ, მხოლოდ ერთს
 ტკბილად შემოხედვასა!
 ამის ნაკლები ან მე რა გთხოვთ, ან თქვენ რა გეთქმით?

ვალენტინ (ვალკე)

მღვიმავს, თუ მძინავს? რა მესმის ესა
 და რასა ვჰხედავ.
 ოჰ! სიყვარულო! ორიოდ წამი მომათმენინე!

სილვია

ოჰ! უბედურო შენ ჩემო თავო!

პროტეოს

თქვენ უბედური მაშინ იყავით, მანამდისინ მე
 მოგეწოდით; რომ მოგეწიეთ, მერე რა გიშავთ?

სილვია

რომ მომეწიე, კიდევ ეგ არის ჩემი წამება.

ჯულია (ვალკე)

აგრეთვე ჩემი.

სილვია

მე რომ დამშეულს ლომს დავეჭიროე, იმის საუზმედ
ვპყოფილვიყავი, ის მერჩივნიყო და ცრუ პროტეოს
კი არ მენახა. გულთა მხილველო! თვითან შენ უწყი,
თუ როგორ მიყვარს მე ვალენტინი, რომლის სიცოცხლე
ჩემს სულზედ ნაკლებ არ მიმაჩნია; - ამოდენათვე,
უმეტესად რომ აღარ იქნება, მძაგს მე პროტეოს,
ყოვლითურთ ყალბი, გაუტანელი. დამეხსენ ახლა,
აიღე ხელი შენს ურცხვობაზედ!

პროტეოს

თქვენის გულისთვის რაც უნდა დიდი რამ განსაცდელი
გამოვიარო, განურისხებლად შემოხედვასაც
აღარ მაღირსებთ? რა არის ესა, თუ არა კრულვა
სიყვარულისა; - ქალს არ უყვარდეს კაცი, რომელსაც
ის დიდად უყვარს?!

სილვია

კაცს არ უყვარდეს, როგორც პროტეოსს, ქალი, რომელსაც
ის დიდად უყვარს. წარმოიდგინე ჯუღიას გული, -
პირველი შენი სათაყვანები, რომლისათვისაც
ათასჯერ მაინც შეგიფიცნია და იმდენჯერვე
ეგ შენი ფიცი გაგიტეხია ჩემის ტრფობისთვის!
სადა გაქვს გული, თუ კი რომ ორი არა გქონია?
და ორგულობას ბევრით სჯობია სულ უგულობა!
შენა ჰალატობ შენს მეგობარსაც.

პროტეოს

ნეტა რას ამბობთ? ტრფიალებაში ვინ დასდევს მერე
მეგობრობასა?

სილვია

ყოველი კაცი, პროტეოსს გარდა.

პროტეოს

რა კი აგრეა, თუ ტკბილის სიტყვით ვერას გავხდი რა
და სიბრალული ვერ გაგრძნობინე, - მე მოგეპყრობი
როგორც სალდათი და ისე შევცვლი ტრფობის ბუნებას,
რომ თუ არ ნებით, ძალათ გიშოვნო!

სილვია

შენ დამიფარე ყოვლად-ძლიერო!

პროტეოს

მოჰხდეს, რაც მოჰხდეს! ძალას მოვიხმარ!

ვალენტინ

იქითა! მხეცო! ააღე წმინდას გასვრილი ხელი;
შენ, მეგობარო, ყოვლად ცბიერო!

პროტეოს
ოჰ! ვალენტინი!!!

ვალენტინ
დაუნდობელო და უგრძობელო ცრუ მეგობარო,
ყოვლის სიმართლის გამცრუებელო, სადმართო კავშირის
დამარღვეველო! როგორ უნდა ვთქვა, რომ მეგობარი
მყოლოდეს მეცა? ხომ გამამტყუნებ! როგორღა ენდოს
კაცი კაცს, როცა მარჯვენა ხელი ჰდალატობს გულსა?
ვსწუხვარ, პროტეოს, რომ ამას იქით ვეღარ გენდობი
და ქვეყანასაც შენის მიზეზით უნდა განვშორდე!
მეტად მკვლელია ეს შენმიერი ჩემი წყლულება.
ოჰ! რა დრო არის, საზარელი დრო, რომ ყოველს მტერზედ
მეგობარია უმძვინვარესი!

პროტეოს
სულ დამარღვია მე ამ სირცხვილმა, ამ საზარელმა
დანაშაულმა! სულგრძელო ძმაო! გულშემმუსვრელი
მწუხარება და სულის დატანჯვა სინანულისთვის
თუ რომ იკმარებს, ვინანი მწარედ! და ენდე ღმერთსა!
ეს აღსარება ისე მძიმეა, როგორც მძიმეა
ჩემი უზომო დანაშაული.

ვალენტინ
კმარა! გენდობი. ვინც რომ სინანულს არ შეიწყნარებს,
არც ცას ეკუთვნის, არც ქვეყანასა. უზენაესის
რისხვაც წარივლის, სადაც კი ჰნახავს წრფელს სინანულსა!
შეგინდობ გულით, ძმაო პროტეოს, და ამის ნიშნად
შენ გითმობ ყველას, რაც სილვიასი მე მეკუთვნოდა!

ჯულია
ვაჰ! მე უბედურს... (გული შეუწუხდება)

პროტეოს
ამ ბიჭს უყურეთ!..

ვალენტინ
რა იქნა, ბიჭო! რა დაგემართა? გააღე თვალი,
ხმა გამოგვეცი!

ჯულია
ოჰ! მომიტევეთ, თქვენი ჭირიმე! ჩემმა ბატონმა
ამ სინიორასთან ოქროს ბეჭედი გამატანა და
დამვიწყებია, - არ მიმიცია!

პროტეოს
სადა გაქვს ახლა შენ ეგ ბეჭედი?

ჯულია
 აი, აქ გახლავს.
 (აძლევს ბეჭედს)

პროტეოს
 მაჩვენე ერთი! ამას რას ვჰხედავ? ჩემი ბეჭედი,
 მე რომ ჯულიას ვაჩუქე, ისა?!

ჯულია
 ოჰ! ღმერთო ჩემო! რა მემართება? ეგ ის არ გახლავს!
 აი, სილვიას რომ გაუგზავნეთ.
 (სხვა ბეჭედს აძლევს)

პროტეოს
 ეს ვიღამ მოგცა? მე რომ ჯულიას საწინდრად მივეც
 სწორეთ ის არის! ვინ მოგცა შენა?

ჯულია
 თვითან ჯულიამ. თვითან ჯულია გიბრუნებთ ახლა.

პროტეოს
 როგორ ჯულია?

ჯულია
 ვინც შენის ტრფობის საგანი იყო, ვინც შენი ფიცი
 ამოუფხვრელად გულს დაინერგა, - თუმც კი ცდილობდი
 შენის ღალატით ამოგეგლიჯა, აქა დგას ახლა!
 ამ ჩემს ტანსაცმელს რომ ჰხედავ, უნდა შესწუხდებოდე;
 სირცხვილი უნდა შეგაწუხებდეს ამ გვარად მოსილს
 მე რომ მიყურებ. შეუსაბამოს მორთულობაში
 განსაკიცხავი თუ არის რამე, ისევე შენის
 სიყვარულითა, - და შენვე გმართებს, რომ სწითლდებოდე.
 მე სვინიდისი სულ ვერ დამქენჯნის. ტანისამოსის
 გამოცვლით ქალი იმდენათ მაინც ვერ დამდაბლდება,
 როგორც რომ კაცი გრძნობის ცვლილებით
 იმდაბლებს თავსა!

პროტეოს
 „როგორც რომ კაცი გრძნობის ცვლილებით?!“
 ოჰ! მართალს ამბობ! ღმერთო ძლიერო! კაცი რომ სიტყვას
 მტკიცედ იცავდეს და არა ჰსცვლიდეს, ყოველითურთ სრული
 გამოვიდოდა. ახლაკი მარტო ეს ნაკლებობა
 გვავეებს ყოველის ბიწიერებით, დაუდგრომლობა
 თვითანვე არის თავისი მტერი. კაცმა რომ მკითხოს, -
 რასა ვჰპოვებდი მე სილვიაში, რომ ჯულიასაც
 არა ჰქონიყო, ჩემს გრძნობაზედ რომ მტკიცედ ვმდგარვიყავ?

ვალენტინ
 მაგას თუ ამბობ - მამ თქვენი ხელი! ბედნიერებას

ნუ მომიშლით, რომ ეს სახიერი თქვენი კავშირი
მე დაგილოცოთ.

პროტოს
ღმერთმან ხომ იცის, ახლა ამიხდა უნეტარესი
ჩემი სურვილი.

ჯულია
და მეც აგრეთვე.
(შემოვლენ თულები, დუკი და თურიო)

თულები
საშოვარი! საშოვარი! საშოვარი!

ვალენტინ
იქით დადექით! ვერა ჰხედავთ, რომ დუკი ბძანდება? თქვენო უგანათლებულესობავ! მე უბედური და
განდევნილი ვალენტინ მრავალს თაყვანისცემას მოგახსენებთ.

დუკი
სინიორ ვალენტინ?

თურიო
აგერ სილვიაც, ჩემი სილვია!

ვალენტინ
იქითა, თორემ - მოგკალ ეს არის. ხელის შეხება
როგორ შეჰბედე. ჩემს გულის-წყრომას გირჩევ განშორდე.
ვერონას ნახვა თუ კიდევ გინდა - ჩემი არისო,
აღარ გაბედო; ხელი რომ ახელ, მაგით გათავდეს,
და მაგას გარდა სულის შებერვაც აღარა ჰკადრო!

თურიო
სინიორ ვალენტინ! მე სულაც არა, სულაც არ ვჰზრუნავ
მე მაგისტვისა. ისე სულელი არა ვარ მე, რომ
იმ ქალისათვის თავი გავსწირო, რომელსაც რომ მე
სულ არ უნდივარ. მე რას დავეძებ, რა მენადვლებ! ისევე შენ დაგრჩეს.

დუკი
სწორე უნდა ვჰსთქვა, მე არ მეგონა, რომ შენს მხურვალეს
ვედრების მერმეთ, ხელს აიღებდი აგრე ადვილად
და აგრე ცოტა მიზეზისათვის. შემცთარი ვიყავ
და აღვიარებ. - და შენ, ვალენტინ! კაცური კაცი
შენა ყოფილხარ და სიყვარულიც შენა გქონია.
ახლა იცოდე: რაც რამ გვწყენია, რაც რამ საწუხრად
გვექონია ჩვენა, მე აქ ვივიწყებ და ისევე გიწვევ
ჩემს სასახლეში. და რადგან შენის ღირსების ჯილდოდ
ეს არ იკმარებს, - სინიორ ვალენტინ! ქალსაც შენ გაძლევე!
შენა ხარ ძველის შთამომავლობის კეთილშობილი, -

თვითან შემკული მრავალნაირის სათნოებითა.
მამსადაამე, ჩემი სილვიაც შენზედ უკეთეს
ქმარს ვერ იშოვის.

ვალენტინ
მგზნებარეს გულით გმადლობთ, უფალო! ამაზედ მეტი
ბედნიერება, ღმერთმა თვით იცის, მე არ მენატროს.
მაგრამ ერთი სხვა ვედრება კიდევ გამაბედვინეთ
თქვენის ასულის სადღეგრძელოთა.

დუკი
თვითან შენთვისაც გაგაბედვინებ, რაც უნდა იყოს.

ვალენტინ
ჩემს ამხანაგებს რომ ჰხედავთ აქა, დევნილ-არიან
კანონიერად, მართალი არის; მაგრამ ღირსებაც
ბევრი აქვსთ ამათ; და მიუტევეთ ამათაც მათი
დამნაშაავობა! ნება უბოძეთ, რომ შინ დაბრუნდნენ.
რაც მე აქა ვარ, ვჰხედავ, კეთილად გამოიცვალნენ, -
კარგნი არიან, გულით კეთილნი, სასარგებლონი
და შეუძლიათ თქვენის წყალობის დამსახურება.

დუკი
სწორეთ მაჯობე! შეგინდობთ ყველას, შენც და მაგათაც
და რადგან ამათ შენ უკეთ იცნობ, დაბინავებაც
შენვე იზრუნე. ახლა კი მილანს! იქ გავათავოთ
ეს ჩვენი საქმე ნადიმობითა, ლხინითა და სხვა
საყოველთაო მხიარულებით.

ვალენტინ
ჩვენს მგზავრობაში, მაქვს მე იმედი, ზოგი ამბავით
არ მოგაწყინოთ. ამ პატარა ბიჭს როგორა ჰპოვებთ?

დუკი
უცხო ბიჭია! რათა ჰსწითლდება?

ვალენტინ
იმიტომ, რომ ისე ბიჭი არ არის, როგორც უცხოა.

დუკი
მე ეგ არ მესმის!

ვალენტინ
გზაზედ გიამბობთ. ბევრს გაიკვირებთ. წამო, პროტოს!
შენს დასასჯელად, შენც გაგაგონებ მოთხრობას შენის
ტრფიალებისას; - და მერე ჩვენი ქორწინების დღე
ქორწინების დღედ თქვენთვისაც იყოს,
რომ შევეართოთ სიამოვნება, ბედნიერება
და მოსახლობა. -



სხვა ელექტრონული წიგნებისათვის გთხოვთ ეწვიოთ
ჩვენს ინტერნეტ-მალაზიას: www.iBooks.ge